ჯულიეტა ძაძუა

სავარჯიშოები ქართულ ენაში
და მეტყველების კულტურის საკითხები

UDC (უაკ) 811-353-1-8(076)-808.5
ძ-357

წიგნში შეტანილია სავარჯიშოები, დავალებები და სხვა სახის საშუალებები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს მეტყველების კულტურის ამაღლებას.

კრებულში წარმოდგენილი გრამატიკული სავარჯიშოების მიზანია რამდენადმე დაეხმაროს ახალგაზრდებს დაუახლოვონ თავიანთი ზეპირი და წერითი მეტყველება სალიტერატურო ქართულის ნორმებს. დახვეწონ და აამაღლონ წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის დონე.

წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეების და სტუდენტებისთვის, აგრეთვე, ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: *პროფ. მიხეილ რეხვიაშვილი*

რეცენზენტები: *საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე ვარდიაშვილი*

აფხაზეთის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბიძინა ლემონჯავა

ISBN №978-9941-0-1700-1
ISBN №978-9941-0-1701-8

ავტორისაგან

პირველ წიგნში მოცემულია სავარჯიშოების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია მართლწერასა და მართლმეტყველებასთან (გრამატიკის საკითხები). გრამატიკა კი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მეტყველების კულტურისა. მეტყველების კულტურაში შედის ცნებითი აზროვნება, ლოგიკური აზროვნება, საგანმანათლებლო მხარეები, პატრიოტიზმი და სხვ.

სავარჯიშოების სისტემა გათვალისწინებულია ისე, რომ მოსწავლეებმა (და სტუდენტებმა) თანდათანობით დამოუკდიებლად შეძლონ მისი შესრულება, რადგანაც იგი შესწავლილ მასალასთანაა დაკავშირებული.

მეტყველების კულტურა რთული შესასწავლი ფენომენია. მეტყველების კულტურა ადვილად არ შეიძინება და არც გამომუშავდება. ამას დიდი დრო, ენერგია და მონდომება სჭირდება, როგორც მასწავლებლის, ისე მსმენელისაგან (მოსწავლე, სტუდენტი და სხვ.). მეტყველების კულტურას საფუძველი უნდა ჩაეყაროს ოჯახში. შემდეგ უნდა განავითარონ საბავშვო დაწესებულებებმა და სკოლამ. მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალურ საშუალო და უმაღლეს

სასწავლებლებშიც. ბავშვი ოჯახიდან მოდის. მას დაბადებიდან უნდა ესმოდეს ტკბილქართული, გამართული მეტყველება, მკვეთრად და სწორად გამოთქმული ბგერები, მარცვლები და სიტყვები, ოჯახშივე უნდა ხედავდეს მშობლების მუხლმოუდრეკელ და თვალმოუხუჭავ შრომას, ხელსაქმიანობას, წიგნზე მუშაობას, ხატვას, ძერწვას, ხეზე ჩუქურთმების ამოჭრას, ჭედურობას და სხვ. ისმენდეს მუსიკას, ხალხურს, კლასიკურს. მხატვრულ კითხვას ლექსების, მოთხრობის, ზღაპრების, ანდაზების, გამოცანების და ა. შ. მშობელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს აღსაზრდელს აჩვენოს მაგალითი სინდის-ნამუსისა, სხვისი პატივისცემისა, შრომა-საქმიანობის დაფასებისა, სამშობლოს სიყვარულისა. მის საქმიანობაში უნდა ჩანდეს ზიზღი უსაქმურობის, ამაყობის, ბოროტების, შურისძიების, სიხარბის, სხვისი დაჩაგვრის და სხვა მანკიერებისადმი. ბავშვებს სისტემატურად ესაუბროს ანდაზებით, გამოცანებით, აფორიზმებით, ეპითეტებით, მეტაფორებით და სხვა მხატვრული ხერხების გამოყენებით.

ჩვილ ბავშვთან არ ილაპარაკოს ენამოჩლექით, მცდარი გრამატიკულ-ენობრივი ფორმებით. მოერიდოს კუთხური კილოთი ლაპარაკს. ბავშვს გაუსწოროს მცდარად წარმოთქმული სიტყვები, წინადადებები და გაამეორებინოს რამდენჯერმე. საერთოდ ეცადოს მშობელი, რომ თეორიულად შეძენილ მასალაზე პრაქტიკულად ავარჯიშოს ბავშვი. საჭიროა აგრეთვე სკოლამდელი ბავშვისათვის ზრუნვა ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, რადგან გონება მაშინ აზროვნებს ლაღად, როცა სიტყვათა მარაგი დიდია. ბავშვი სიტყვებს გარეგნულად მექანიკურად კი არ უნდა ფლობდეს, არამედ იცნობდეს მის სემანტიკურ-შინაარსობრივ მხარესაც.

შესავალი

მართალია, წერითი მეტყველება ზეპირს უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს. ადამიანი თითქოს რასაც მოიფიქრებს, იმას წერს, მაგრამ ყველა ასე არ იქცევა. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი რამ: ა) ენის გრამატიკის მცოდნე და ბ) ენის გრამატიკის უცოდინარი. აზრების წერით გამოხატვის დროს გრამატიკისა და მეტყველების კულტურის მცოდნე ცდილობს, უშეცდომოდ, ყოველმხრივ გამართულად გადმოსცეს თავისი ნააზრევი და მას ახერხებს კიდეც სრულყოფილად ან ნაკლებ სრულყოფილად. გრამატიკისა, მეტყველებისა, მეტყველების კულტურისა და ორთოგრაფიის უცოდინარი ეჭვიანია თავის ცოდნაში. ზოგს სიტყვათა მარაგიც კი არა აქვს. არ იცის სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა და სისწორე. ფიქრობს, რომ როგორც იცის, ვაი, თუ სწორი არ იყოს და წერს იმას, რაც არ მოუფიქრებია. ასეთ შემთხვევაში ორთოგრაფიული შეცდომები გარდაუვალია. ზოგს არა აქვს ლექსიკური მარაგი, მაგრამ გაბედულად წერს, არ ფიქრობს აზრის სისწორეზე, ორთოგრაფიაზე, ვერ მსჯელობს ლოგიკურად და ა. შ. ამიტომ, ასეთი პიროვნების ნაწერი მთლიანად ან ნაწილობრივ ტავტალოგიაა, სტილურად და ლოგიკურად გაუმართავი. ზოგი დაწერამდე ბევრს კითხულობს, ალაგებს აზრებს, წინადადებებს, ფრაზებს და ისე გადააქვს ქაღალდზე და უფრო გამართული ნაწერი გამოუდის. ამიტომ განათლებული, წიგნიერი ადამიანი უფრო ნაწერს ეყრდნობა. მაგრამ წერითი მეტყველებაც რომ ზეპირის გარეშე არ არსებობს? ამდენად, ისინი მჭიდრო კავშირშია წიგნიერ ადამიანთან. «წიგნიერსა და უწიგნურში» განათლებულსა და ნაკლებგანათლებულს ვგულისხმობთ. უწიგნურებთან კი, ხშირ შემთხვევაში, წერა და ზეპირი მეტყველება ძალიან დაცილებულია ერთმანეთისაგან, რადგან უწიგნურს ჰგონია, რომ ნაწერი სულ სხვა უნდა იყოს, ზეპირი მეტყველება კი - სულ სხვა.

ზეპირისა და წერითი მეტყველების ურთიერთობაზე ბევრი თქმულა და ჩვენ აღარ განვაგრძობთ. მაგრამ ერთს კი ვიტყვი: ისინი ერთმანეთის გარეშე შეუძლებელია. წერა საგანგებოდ ისწავლება, მისი დაუფლება ძნელია, მაგრამ აუცილებელი. მისი ცოდნა ზეპირი მეტყველების განვითარებას უწყობს ხელს და, პირიქით. ამიტომ, როცა მეტყველების კულტურაზე ვლაპარაკობთ, ჩვენი მიზანია, პიროვნება ორივეს სრულყოფილად ფლობდეს.

მეტყველების კულტურის დაუფლება მოსწავლეობის პერიოდს უნდა დაემთხვეს. რადგან ლექსიკური მარაგის გამდიდრება ხდება მხოლოდ სხვადასხვა საგნის სწავლებისას, რომლებსაც თავისებური ტერმინები, განსაზღვრებები, ფორმები, მაგალითები გააჩნია. ყველა ამას დედაენაზე ითვისებს და იცნობიერებს. რადგან უცნობი სიტყვებისა და ტერმინების ახსნა სწავლების ენაზე ხდება. ყველა საგნის მასწავლებლის მიერ ამ მიმართულებით სისტემურ მუშაობას კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი წარმართავს. რადგან ქართული ენა და ლიტერატურა ლექსიკონზე მუშაობის ყველაზე მეტ საშუალებას იძლევა. სალექსიკონო მუშაობა დაწყებითი კლასიდანვე უნდა დავიწყოთ და ყოველ შემდგომ საფეხურზე უნდა

განვაგრძოთ, გავამრავალფეროვნოთ, ყველა მოსწავლემ, სტუდენტმა თუ პიროვნებამ უნდა შეისწავლოს მწერლის ნაწარმოებთა ენა, მეტყველების თავისებურება, რადგან ამით გაიმდიდრებს ლექსიკურ მარაგს. პიროვნება, რომელიც გაუგებს გემოს მხატვრულ ლიტერატურას, შეძლებს შეარჩიოს ისეთი მხატვრული, ფილოსოფიური და სხვა სახის ნაწარმოებები თუ ნაშრომები, რომლებიც მდიდარი ბუნებისა თუ საზოგადოების განვითარების კანონების ღრმა ანალიზით გამოირჩევა. თავისი არსით მაგ.: «ბიბლია», «ვეფხისტყაოსანი», შექსპირის, გოეთეს, არისტოტელეს და მათ მსგავსთა ნაწარმოებები და ნაშრომები სრულყოფს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ზნეობისა და მეტყველების კულტურის ამაღლებას. მეტყველების კულტურასა და ზნეობაზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს თეატრი, კინო, ესტრადა და ხელოვნების სხვა დარგები, რომლებიც ოსტატურად უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მსმენელთა მეტყველების სრულყოფის, კულტურის და ზნეობრივი აღზრდისათვის.

ლექტორმა, მასწავლებელმა ნაწარმოების განხილვისას თავისი მუშაობა უნდა ააგოს ისე, რომ მსმენელები მოაქციოს მხატვრული სიტყვის სამყაროში. დააინტერესოს შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით, გაპიროვნებით... ენობრივ-სტილური თავისებურებებითა და ნაწარმოების ყოველი კომპონენტით: ნაწარმოების სიუჟეტი, პრილოგი, მოქმედების განვითარება, კვანძი, კულმინაცია... ეპილოგი _ ყველაფერი ეს დიდ შესაძლებლობას ქმნის მეტყველების კულტურის დასაუფლებლად.

მაგრამ ამას უნდა სათანადო შრომა. უნდა იცოდე, როგორ გამოიყენო წიგნი. რა საკითხები დაგეხმარება მეტყველების განვითარებისთვის. როგორ, რისგან და საიდან შეადგინო დავალებები და სავარჯიშოები. აი, ამ საკითხებზე გთავაზობთ ჩვენ მიერ შედგენილ ზოგიერთ სავარჯიშოს, დავალებას და სხვა სახის საშუალებებს, რომლებიც კულტურული მეტყველების სრულყოფაში დაგვეხმარება.

სავარჯიშო №1. ქვემოთ მოცემული ტექსტიდან ამოიწერეთ არსებითი სახელები, დაუსვით კითხვები ვინ? რა? და დააჯგუფეთ ამის მიხედვით. გამოყავით სულიერი და უსულო საგენბის აღმნიშვნელი არსებითი სახელები ცალ-ცალკე.

შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარს მუხნარის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...
მიმყავდა სიდედრისასა;
ან კი ცოლს როგორ მივცემდი
ჩემს ქალს, გაზრდილსა სხვისასა...

****

გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერი ვუწვდინე ქვიშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე!..

(ხალხური)

სავარჯიშო №2. ქვემოთ მოცემული ტექსტიდან ამოიწერეთ არსებითი სახელები, აღნიშნეთ რომელ რიცხვშია და აბრუნეთ.

გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმარზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლებდა. ეხლაც წავედით. შევუდექით ველის პირებს. გავსწიეთ მთისკენ. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვეროებს ეთხოვებოდა.

უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთებში და კლდეები. ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს. ბოლი გაერთხა ნამიან ბალახზე... არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი... შეჩვენებულმა მონადირემ ამოიღო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. (ვაჟა-ფშაველა).

სავარჯიშო №3. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ არსებითი სახელები. დასვით მოთხრობით ბრუნვაში და აღნიშნეთ, რა მართლწერის საკითხებია მათთან დაკავშირებული.

1. გოჭი დაკლეს და ქათამი ზედ დააკლესო (ხალხური).
2. ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში საქორწილოდ მორთულ სიძეს.
3. და ატამი ტურფა ყმაწვილს, აკვანში რომ გააღვიძებს (გ. ლეონიძე).
4. ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა? (ხალხური).
5. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო (ხალხური).
6. ომში შეხვალ და გამოხვალ, გული არ შეგიშინდება (ხალხური).
7. ჭერამი ატამზე ადრე მწიფდება.

სავარჯიშო №4. წინადადებებიდან ამოიწერეთ თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები და არნიშნეთ, რა მართლწერის საკითხები უკავშირდება მათ მოცემულ ბრუნვაში.

1. მტკვარი თბილისს ორად ჰყოფს.
2. ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამკაულები მიართვეს საპატარძლოს.
3. კუმისის ტბაზე (არსენამ) ურიებს აწყევლინა ბედისწერა (ხალხური).
4. ოჯახი დილიდან სამზადისმა მოქანცა.

5. ერეკლე მეფე კრწანისის ველზე ვაჟკაცურად იბრძოდა.
6. ჩანგრეული სახლის კედლებს ხავსი თანდათან ეკიდებოდა.
7. მწყემსმა დილიდან დაიჭირა თადარიგი.
8. ივლისის თაკარა მზე უხვად აფრქვევდა სხივებს დედამიწას.

სავარჯიშო №5. წინადადებებიდან ამოიწერეთ ხაზგასმული სიტყვები და გაარკვიეთ, რა მართლწერის საკითხები უკავშირდება მათ ვითარებით ბრუნვაში.

1. კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე (ლორთქიფანიძე).
2. ჯარად დამსხდართა ხევსურთა, თავზე წაადგა ბალღები (ვაჟა).
3. ბრალადა ბჟუტავს სანთელი, ცრემლი წინ უდგა გუბედა (ვაჟა).
4. ყველა, ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? (ილია).
5. სადილამ დარჩომილი ცივად ძროხა გვაქვს (ილია).
6. ამიტომაც ეგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ (ილია).
7. თავად გძელაძეს, დიაღ, პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია (ილია).
8. დები არ იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით, დად მეკუთვნოდა დედა-თქვენი (ილია)
9. მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად (ილია).

ში, ზე, თან, კენ, გან თანდებულიან სახელთა მართლწერა

სავარჯიშო №1. შეავსეთ შ თანხმოვანზე დაბოლოებული არსებითი სახელები და აღნიშნეთ, რა მართლწერის საკითხია მათთან დაკავშირებული.

1. საქონლის ფარშ..... ღორის ფარშს ურევდა.
2. ბაშ..... გატარებული დღეები სასიამოვნო მოგონებად დარჩა ცოლ-ქმარს.
3. შიშ..... ფხიზლად გაატარა მთელი ღამე თერგის პირას.
4. ქარქაშ..... ხმალი ჟანგდება, თუ აღარ იხმარ, არ უვლი.
5. ბანქოს თამაშ..... დღეები სწრაფად გარბოდა.
6. პატარა მაიკომ ქოშ..... ფეხი ჩადგა.
7. ცბიერი გელა ანგარიშ..... მოტყუვდა.
8. კოხტა ქალის დანახვაზე ყმაწვილმა ულვაშ..... ჩაიღიმა.

სავარჯიშო №2. აღნიშნეთ, რომელ სიტყვაში გვაქვს ორი ზ და რატომ?

1. ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
   ციდან ჩამოესმა რეკა,
   იალბუზზე ფეხი შედგა,
   დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

(ხალხური)

2. თავრიზზე, სადაც ის დაიბადა, თავისებური მოსაზრება ჰქონდა.
3. ლამაზზე იტყვიან, მზეთუნახავიაო.
4. სანდრომ ქინაქინა კოვზზე დაასხა და დედას დაალევინა.
5. მწყობრ ხაზზე 30 თავდაჯერებული ვაჟკაცი იდგა.
6. ბრაზზე უარესი არაფერიაო (ხალხური).
7. გიორგის კაპრიზზე ლექსი არ დადიოდა.
8. მელანო აუზზე შედგა და მყვინთავს თვალი გააყოლა.

სავარჯიშო №3. აღნიშნეთ, რომელ სახელებს, რომელ ბრუნვაში დაერთვის ვით თანდებული და რა თავისებურებას იჩენს მიცემით ბრუნვაში.

1. მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, სისხლივით წითელი.
2. ეს ის დიანბეგი არ არის, რომელსაც გოგოს გაურიგებდი ხოლმე და ბურთსავით ხელში ათამაშებდი (ილია).
3. კნიაზო დავით, ეს რა ამბავია? - უთხრა გაჯავრებულოსავით მოსემ, - ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ?
4. კარგი როგორ არ არის მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ წანწალებს: თათარი, ყიზილბაში, ურია, სომეხი, რუსები ხომ რაღა ბუზსავით ირევიან (ილია).
5. წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა - ფეხებამდინ უმტვერო ქაღალდივით წვერი ჰქონდა - ერთი წამალი დამალევინა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! (ილია).
6. მინამ გოგო ამას მიუტანდა, ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩავარდნილებსავით იყვნენ (ილია).
7. დედაკაცივით სიხარულისაგან კინაღამ შევხტი (ილია).
8. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნავებდნენ პამპულასავით (ილია).

სავარჯიშო №4. ამოიწერეთ ზე თანდებულიანი სახელები და აღნიშნეთ, რა თავისებურებას გვიჩვენებს მიცემით ბრუნვაში.

1. იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზე და მხრებზე. ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარია სიცოცხლე (ვაჟა).
2. ღამღამობით ათასში ერთხელ ხმელს წიფელზე ბუ შეჯდება და დაკოდილის ხმით მოჰყვება გულმოკლულ ძახილს (ვაჟა).
3. ჩხიკვთა ქორწილზე მოგახსენებთ (ვაჟა).
4. ნეფე-დედოფალი მიიწვიეს ყვავილებით დაფენილს ტახტზე და წვეულნიც წამოსხდნენ მწკრივად (ვაჟა).
5. კახური ლამაზი ღვინო წყალივით მოდიოდა სუფრაზე (ვაჟა).
6. ეღირსებაო ლუხუმსა, ლაშარის გორზე შადგომა (ვაჟა).

7. ბედი მომეცი და სანეხვეზე დამაგდეო (ხალხური).

8. ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზე გამხიარულდნენ (ილია).

9. დედამიწის ზურგზე იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნათ, შვილისათვის ეცოცხლნა (ილია).

10. იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა (ხალხური).

11. საქართველოზე გამარჯვება მტერს ყოველთვის უჭირდა.

12. ხეზე ხტომა კარგად იცის (დუმბაძე).

13. ადამიანის პანღური ვირის წიხლზე უარესიაო (ხალხური).

14. დედამიწაზე უდრტვინველად დააბოტებდა (გაზეთიდან).

სავარჯიშო №5. ამოიწერეთ თან თანდებულიანი სახელები და გაარკვიეთ, როგორ ფუძეზე ერთვის სახელს, რომელ ბრუნვაში და რა თავისებურებას იჩენს.

1. ერთ შვილ ხომ მაინც გაგზარდე ვეფხვებთან მეომარია (ხალხური).

2. არჩივი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართალის გულით უთხრა (ილია).

3. გოგო-ბიჭებმა, ვინც კი ამ დროს სახლში მოიხელებოდა, ყველამ მუაჯირთან ეზოში მოიყარა თავი (ილია).

4. გაჰგზავნეს დედასთან ბიჭი (ილია).

5. ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო (ხალხური).

6. არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს ცხოვრება... ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა (ვაჟა).

7. მეც გვერდით ვუდექი... მხიაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც კი მაგონდებოდა (ვაჟა).

8. ლეშთან ერთად გათავდა ტოტიას სულიც (ვაჟა).

9. მერე კიდევ მოვდივარ ხშირად კლდესთან, რომ გამოვესაუბრო, მაგრამ ამაოდ (ვაჟა).

სავარჯიშო №6. ამოიწერეთ კენ თანდებულიანი სახელები და გაარკვიეთ, რომელი ბრუნვის ფორმას ერთვის.

1. მთვარისაკენ მიპყრობილ მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული.

2. ძალზე მოერეკებოდა ძია ესტატე შინისკენ თავის მერანს (ვაჟა).

3. მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო (ხალხური).

4. კლდის თავს წადგება ჯოყოლა სასაფლაოსკენ იძახებს (ვაჟა).

5. თუ ჩზვენსკენ გამოიქცა, მე დავენახები და შენ ბალახებში ჩაიმალეო (ვაჟა).

6. ერთხელ ქეთოს გამდელმა ამ ტყისკენ გაისეირნა (გოგებაშვილი).

7. თუ გაღმა მხრისკენ თვალს დააკვირვებ, მთის ძირში გაარჩევ დიდ ღელეს (გოგებაშვილი).

8. ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა (ხალხური).

9. მე გავბრუნდი ბინისაკენ და სანამ ოთახში შევიდოდი, მესმოდა გაშმაგებული მოხუცის ყვირილი (ყაზბეგი).

10. ამ ცივ მთაზე, რომ ავიხედე და იქით, არმოსავლეთისაკენ გაიხედო, შენს თვალწინ გადაიჭიმება ვეებერთელა ვაკე (გოგებაშვილი).

11. ცხენოსანმა მისი ბედაური გაჭენ-გამოაჭენა ჭალებში, გაახურვა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარისაკენ (აკაკი).

სავარჯიშო №7. ამოიწერეთ გან თანდებულიანი სახელები და გაარკვიეთ, რომელი ბრუნვის ფორმას ერთვის და რომელ კითხვაზე უპასუხებს.

1. ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემისაგან (ვაჟა).

2. ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო (ხალხური).

3. - რისგან კეთდება?
   - სიმინდისაგან (აკაკი).

4. მეტისმეტი ჯავრისაგან ადგილზე ვეღარ დადგესა (ხალხური).

5. ალაზნის შხუილი, ნიავისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის მის გარეშემოს (აკაკი).

6. მღვიმის მონასტერში ორი და იზრდება, ტყუპის ცალები, ერთი მეორისაგან არ გაირჩევა (აკაკი).

7. სახლში შემოვიდა ჩვენი ძველი ნაცნობი გლახა ბაქრაძე, მოიხსნა სველი ნაბადი და მიაყუდა კედელზე, უკან ზურგისკენ გადაიგდო ფაფანაკი (აკაკი).

8. მაშინ მოუყვა ყოველივეს, რაც თიმსალ-მაკოსაგან შეეტყო და დაავალა... ბაში-აჩუკი დაჭერილი მომგვარეთო (აკაკი).

9. ძლივს მაგონდება და ოდნავ მახსოვს, რაც საბრალო დედაჩემისაგან გამიგონია (აკაკი).

10. რამდენიმე კვირის განმავლობაში ისე გაიწმინდა ქართლი თათრებისაგან, რომ მათი ჭაჭანებაც აღარსად იყო (აკაკი).

დავალება 1. მოცემული შესიტყვებებიდან ამოიწერეთ ზედსართავი სახელები შემდეგი რიგით: ვითარებითი, მიმართებითი და დასვით ისინი ვითარებითსა და მოქმედებით ბრუნვებში.

ჭკვიანი ყმაწვილი, ჭრელი პეპელა, მოღრუბლული ცა, წერითი დავალება, უხვი მოსავალი, ბაფთიანი გოგონა, თეთრი პერანგი, მაღალი მთა, ნაღვლიანი სიმღერა, მჩატე ზურგჩანთა, ძლიერი მოსწავლე, პირველი დღე, ვარსკვლავებიანი ცა, ჭრელი კაბა, სიმებიანი ორკესტრი, ჭყინტი ყველი, ახალი მთვარე.

დავალება 2. შეურჩიეთ სათანადო ზედსართავები და ამოიწერეთ შესიტყვებები:

წყნარი, მშვიდობიანი (შრომა, ხასიათი, ზღვა, საუბარი, საღამო, ხმა, ქვეყანა, მდინარე).

ავი, ბოროტი, ცუდი (ამინდი, ძაღლი, კაცი, გული), გაბედული, მამაცი, ვაჟკაცი (მებრძოლი, პასუხი, მოქმედება, გადაწყვეტილება, სულისკვეთება, შემართება, შრომა, სვლა, შეტაკება).

გრაფაში არსებით სახელებს მიუწერეთ შესაბამისი ზედსართავი სახელები

არსებითი	ზედსართავი ვითარებითი	მიმართებითი
თმა	ქერა	კულულებიანი
ქალი		
სახლი		
ბავშვი		
ჩანთა		
მეგობარი		
საათი		
კარაქი		
ბამბა		
რძე		

წერილობით უპასუხე კითხვებზე:

1. როგორ კაცს ვუწოდებთ უშიშარს და როგორს მამაცს, ყოჩაღს?
2. როგორ კაცს ვუწოდებთ გულისხმიერს და როგორს ცნობისმოყვარეს?

მოძებნეთ აზრობრივად სესატყვისი ზედსართავები შემდეგ სიტყვათა შეერთებაში. 5-6 შენაერთისაგან შეადგინეთ წინადადება.

მახვილი დანა. სუფთა რვეული. სუფთა გული. სუფთა ცა (მოწმენდილი). თავისუფალი შრომა. ღია ფანჯარა. ღია გული. ღია ჭრილობა.

შერჩეული ანტონიმები შეუწყვილეთ ანტონიმებს და გამართეთ რამდენიმე წინადადება

ღია გული (დახურული), ღია კარები (დახურული), ღია ცა (დახურული), დიდი ირემი (პატარა), პატარა მდინარე (დიდი), მაღალი მთა (დაბალი), ცარიელი ჯამი (სავსე), ცარიელი ხელი (სავსე), ცარიელი ორმო (სავსე).

შეადარეთ საგნები სიდიდის, მოცულობისა და სიგრძის მიხედვით:

საზამთრო და მსხალი. მაგიდა და სკამი, ქამარი და ფანქარი, ქვევრი და ბოთლი. ნაწნავი და ბალანი.

რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი მოითხოვს საკმაო ვარჯიშობას, როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში, რადგან მისი წარმოთქმა და მართლწერა ძნელდება ზოგი თავისებურების გამო.

სავარჯიშოები მიზნად ისახავს სწორად შევისწავლოთ რიცხვითი სახელის წარმოთქმა და წერა.

მოსწავლეებს ყველაზე მეტად უჭირთ რთული რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოთქმა და მართლწერა.

რიცხვითი სახელის გრამატიკული გარჩევა კარგად ხერხდება სქემის მიხედვით. სქემით ეძლევა ყველა სახის რიცხვითი სახელი და მისი ბრუვნის ფორმა.

რაოდენობითი	**შედგენილობა**		**რიგობითი**	**წილობითი**	**ბრუნვა**
	მარტივი	**რთული**			
თერთმეტი		**რთული**	**მეოცე**	**მეოცედი**	**სახელობითი**

რიგობითი რიცხვითი სახელის შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ მაწარმოებელი აფიქსების მართებულად დართვასა და სწორად წარმოთქმაზე.

რიცხვითი სახელის მნიშვნელობა

სავარჯიშო №1. გრამატიკულად გავარჩიოთ რიცხვითი სახელი.

1. დინამოს სტადიონზე თერთმეტი ყმაწვილი ფეხბურთელი გულისფანცქალით ელოდებოდა ფეხბურთის მატჩის დაწყებას, არანაკლებ ღელავდა ორი მწვრთნელი.

2. იმ ზაფხულს ბაბუას სამოცდახუთი წელი სეუსრულდა, ბებიას - სამოცი, მე - ცამეტი, ჩემს დას კი - ცხრა წელი.

3. იმ კვირას ინგლისურის მასწავლებელი მესამედ შემოვიდა კლასში.

4. ოცდათერთმეტ დეკემბერს პირველი საათი იყო, როცა ჩემმა ხუთი წლის დამ უამრავი ლექსი მითხრა ზეპირად.

სავარჯიშო №2. ცალ-ცალკე ამოიწერეთ რიცხვითი და არსებითი სახელები.

ორი, ორიანი. სამი, სამიანი, სამოსანი. ოთხი, ოთხიანი, ოთხოსანი. ხუთი, ხუთიანი, ხუთოსანი.

სავარჯიშო №3. რაოდენობიტი რიცხვითი სახელისაგან ვაწარმოოთ რიგობითი რიცხვითი სახელები.

ხუთი
შვიდი
თერთმეტი
ჩვიდმეტი
ოცდაორი
ოცდაოთხი
ოცდახუთი
ოცდაათი
ორმოცდაექვსი
ორმოცდაშვიდი
სამოცდაცამეტი
ორმოცდარვა
ორმოცდაცხრამეტი

კითხვები:
1. რამდენგვარია რიცხვითი სახელი შინაარსის მიხედვით?
2. როგორ იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი?
3. რა ჰქვია საგნის რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვას?
4. რა ჰქვია საგნის რიგის აღმნიშვნელ სიტყვებს?

სავარჯიშო №4. დაწერეთ ნებისმიერი არაბული ციფრი (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 11, 37, 45) და გვერდზე მიუწერეთ შესატყვისი რომაული ციფრი. მაგ.: 5 - V, 10 - X.....

სავარჯიშო №5. ციფრებით გამოხატული რიგობითი რიცხვითი სახელები დაწერეთ სიტყვებით.

მე-5, მე-10, მე-11, 25-ე, 32-ე, 54-ე, მე-60, 61-ე, 123-ე. II, VI, VII, VIII, IX, XIII, XV, XXV, XXX, LXX.

არსებითი სახელი მხოლობით რიცხვში დგას რაოდენობით რიცხვით სახელთან.
ხუთი ამხანაგი, ოცი მაგიდა, სამოცი კაცი, თხუთმეტი მოსწავლე, ასი ქალი.

სავარჯიშო №6. აბრუნეთ რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად: ორი კალამი, ექვსი სკამი, რვა წიგნი.

კითხვა:
1. როგორ ვაწარმოოთ რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითი «პირველი»?
2. რა თავისებურება ახასიათებს რიგობით რიცხვით სახელს?

სავარჯიშო №7. დაწერეთ სიტყვებით:

1. 01. 1996.
8/III - ქალთა საერთაშორისო დღე.
1/V - მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.
9/V - 1945 ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე.

კითხვებზე გაეცით წერილობითი პასუხი. ციფრებით დაწერეთ სიტყვები:
1. როდის მოხდა კრწანისის ბრძოლა?
2. როდის დაარსდა თბილისი?
3. რომელ საუკუნეში ცხოვრობდა შოთა რუსთაველი?

სავარჯიშო №8. წაიკითხეთ ციფრები და სიტყვებით დაწერეთ შემდეგი რიგით: მარტივი, რთული.
4, 12, 60, 7, 103, 300, 555, 200, 125, 400, 201.

დაწერეთ და დაიმახსოვრეთ სიტყვები:
ერთგული, ერთმხრივი, ერთხმად, ერთბაშად, ერთნაირად, ორგული, ორმხრივ, ორჯერ, ორიანი, ოროსანი, ორმაგი, ორპირი, ორფეხი, ორასწლიანი, ორიარუსიანი, ორსართულიანი, ორწლიანი, ორადგილიანი, ორკვირიანი, სამკუთხედი, სამკლასიანი, სამკაციანი, სამთითა, სამფეხა, სამყურა, სამგორი, სამთავისი. სამასი არაგველი, მეოთხე კლასი, მეოთხე ძმა, მეოთხეკლასელი, მეოთხედ-ფინალი, მეოთხედი, ნახევარი, ნახევარ-ფინალი, ერთ-ნახევარი.

ნაცვალსახელი

ნაცვალსახელის შესწავლისას განსაკუთრებით ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა და სტუდენტთა ჩვევების გამომუშავებას მისი პრაქტიკულად გამოყენებისათვის, რადგანაც ნაცვალსახელის გამოყენება მეტყველებაში საერთოდ ძალიან ჭირს.

საკითხის კარგად ათვისების მიზნით ვიძლევით შემდეგ დავალებებს: ზმნას შეურჩიონ აზრობრივად შესატყვისი ნაცვალსახელი, შეადგინონ წინადადება, შეცვალონ პირველი პირის ნაცვალსახელი მესამე პირის ნაცვალსახელით.

ნაცვალსახელზე მუშაობის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს და სტუდენტებს ეძლევათ დასაწერად თემა. მისი შესრულებით გავიგებთ მათ ცოდნასა და შესაძლებლობას ნაცვალსახელის მართებულად ხმარების შესახებ.

ნაცვალსახელის რაობის გასაგებად ვაძლევთ დავალებას.

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ თქვენთვის სასურველი ნაწარმოები და განსაზღვრეთ, რომელი სიტყვის მაგივრად იხმარება ნაცვალსახელი.

სავარჯიშო №2. მოძებნეთ ნაცვალსახელი მოცემულ წინადადებებში, რომლებიც გამოყენებულია არსებითის მაგივრად, გამოტოვებული ნაცვალსახელები აღადგინეთ.

1. ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა? (ვაჟა).
2. მისი ყურშია, წითელენაგადმოგდებული ედგა პატრონს გვერდში (ვაჟა).
3. განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? (ვაჟა).
4. გუშინ ცამ იჭექა, ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს (ვაჟა).
5. რა მომაგონებდა მე, რომ მეორე დღეს დედა დამეკარგებოდა სამუდამოდ (ვაჟა).
6. ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება (ვაჟა).
7. მთელი დღე დავდიოდით ველზე (ვაჟა).
8. ვაიმე, იქვე გავისხიპე (ვაჟა).
9. უცებ იგრიალა თოფმა, მისმა ხმამ დაიარა მთები (ვაჟა).
10. მშვენიერი ბულბულო, რატომ შენს მშვენიერ ხმას არ გაგვაგონებ (ვაჟა).
11. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა (ვაჟა).
12. გაჩუმდი, რას ამბობ, შე თავხედო? (ვაჟა).
13. ყველამ, განურჩევლად ყველამ მასხრად ამიგდო (ყაზბეგი).

სავარჯიშო №3. შეცვალეთ პირველი პირის ნაცვალსახელები მესამე პირის ნაცვალსახელებით და ისე გამართეთ წინადადება.

მაღლა მე. ლაპარაკობდა ჩემ შესახებ. მოვიდა შენთან. შემომხვდა მე. გამაწნა მე. გამალაღა მე. თქვა შენზე. წამოდი ჩემთან ერთად. წავიდა ჩემგან. იგონებდა ჩემ შესახებ ამბავს. მწერდა მე.

სავარჯიშო №4. აფორიზმებიდან, ანდაზებიდან და გამოცანებიდან ამოიწერეთ ნაცვალსახელები და დააჯგუფეთ პირისა და კუთვნილების ნაცვალსახელთა მიხედვით.

1. აქ მე ვარ და გორს ამირანიო (ხალხური).
2. პატრონის ნახვა თუ გინდა, ჯერ მისი კარისკაცი ნახეო (ხალხური).
3. ბრიყვ სიძეს სიდედრ-სიმამრის ქონება თავისი ეგონაო (ხალხური).
4. ზევიდანა წამოვიდა კაბა-კაბა თხილოსანი, ყველა იმას ერიდება ქვევითი და ცხენოსანი (გამოცანა).
5. ხას მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესადრე (შოთა).

6. ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (შოთა).

7. რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა, მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა (შოთა).

8. მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (შოთა).

9. მიხვდეს მათსა საწადელსა იგი ჰპოვეს, რაცა ძებნეს (შოთა).

10. ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, ყოვლი შენი მინდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა (შოთა).

11. რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია (შოთა).

12. კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების (შოთა).

13. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები (შოთა).

14. ყველა მე მისმენდა, მაგრამ ვერავინ მხედავდა (ხალხური გამოცანა).

15. შენ მის უკან ხარ, ის შენით არის, შენ მისკენ ხარ, ის შენს უკან არის (ხალხური გამოცანა).

დედის გული

დედა! ნუთუ მოიძებნება დედამიწაზე უფრო ლამაზი, უფრო მიმზიდველი სიტყვა! დედას აქვს ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილი ხელი, ყველაზე მართალი და ყველაზე კეთილი გული. მასში არასოდეს არ ჩაქრება სიყვარული, ის არასოდეს იქნება გულგრილი.

და რამდენი წლისაც არ უნდა იყო _ ხუთისა თუ ორმოცდაათისა - შენ ყოველთვის გჭირდება დედის მზრუნველი ხელი, მისი ალერსიანი ღიმილი. რაც უფრო მეტად გიყვარს დედა, მით უფრო ლამაზი და მხიარულია სიცოცხლე.

ზმნა

ზმნა ყველა მეტყველების ნაწილზე მეტად იხმარება ჩვენს ენაში. იგი ქართული ენის ხერხემალია და ამიტომ მას მჭიდროდ უკავშირდება მრავალფეროვანი ლექსიკური და გრამატიკული საკითხები.

ზმნის შესწავლისას ბავშვებს ხშირად უჭირთ პირის, რიცხვის, დროს, კილოს, ქცევის, გვარის, გარდამავლობის გამოცნობა, ზმნის ურლება სერიებისა და მწკრივების მიხედვით. მოსწავლეები ხშირად უშვებენ შეცდომას ზმნის გამოყენებისას როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში. სათანადოდ ვერ ხმარობენ პირველი პირის სუბიექტურ ნიშანს ვ-ს, უ-ს წინ. ვერ აწარმოებენ სწორად მესამე პირში ავ, ამ თემისნიშნიან ზმნებს და სხვ. ამიტომ ამ საკითხებზე აუცილებელია ყურადღების გამახვილება.

სავარჯიშოების სისტემა გათვალისწინებულია ისე, რომ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა თანდათანობით დამოუკიდებლად შეძლონ მისი შესრულება, რადგანაც იგი შესწავლილ მასალასთანაა დაკავშირებული.

ბევრი სავარჯიშო ითვალისწინებს სინონიმებზე, ანტონიმებსა და გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ ზმნებზე მუშაობას. სავარჯიშოთა ნაწილი ითვალისწინებს არსებითი სახელისა და ზმნის შეთანხმებას რიცხვში, ზმნის მიერ სახელის მართვას ბრუნვაში, მოსწავლეთა გაბმული მეტყველების განვითარებას, დამოუკიდებლად სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციის გამოყენებას.

გასამეორებელი სავარჯიშოები

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ტექსტი, ზმნებს გაუსვით ხაზი და აღნიშნეთ, რომელი პირისაა და რა ნიშანი აქვს.

1. პოეტად ვიხსენიები, ტუმცა ხარი ვარ ალაბაო (ვაჟა).
2. რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს (ვაჟა).
3. ბეჩაობით გაზრდილი ხარ (ვაჟა).
4. ისე ამოძახებდა ამ ხმებს, თითქოს მკვდარმა ამოიძახაო (ვაჟა).
5. როდისღა ვიგრძნობ იმგვარს სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერს სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი (ვაჟა).
6. წუხელ კი უფრო გულდასვენებულ ჰგავდა, ორჯერ გადვუხედე ანთებული არყის ქერქით (ვაჟა).
7. ჩემმა მეგობარმა ველარ გაიგო (ვაჟა).
8. მოხუცი ტოტია თავდაპირველად ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გართული (ვაჟა).
9. ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! რას სჩადით, თქვე ბრიყვებო? - ღრუთუნებდა ტოტია და უღრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა (ვაჟა).
10. თუ ამას მართალს არ ვამბობ, იფიქროს თავის გულშია (ვაჟა).

სავარჯიშო №2. აწარმოეთ მე-2 და მე-3 პირის მხოლოდბითი რიცხვის ფორმები და პირველი და მეორე პირის ახლანდელი დროის მრავლობითი რიცხვის ფორმები.

სავარჯიშო №3. შეადგინეთ წინადადებები პირველი და მეორე პირის - ვხედავ, ვუამბე, უამბე - ზმნების გამოყენებით.

სავარჯიშო №4. მოუნახეთ საპირისპირო ფორმები ზმნებს: ახტა, გავიდა, ჩავიდა, შევიდა, მოდის, გადავიდა, ჩამოვიდა, წავიდა, მირბის, მიმაფრენს.

ნიმუში: ახტა - დახტა.

სავარჯიშო №5. ზმნა «მგზავრობს» ჩასვით შემდეგ წინადადებებში:

1. ზაფხულობით მე .... სოფელში.
2. ყოველ ზაფხულს ბავშვები .... დასასვენებლად აგარაკზე.

3. ფასანაურამდე .... ფეხით, შემდეგ ორჯონიკიძემდე .... მანქანით. იქედან კი მოსკოვამდე .... თვითმფრინავით.

სავარჯიშო №6. მოცემულ ტექსტში მხოლობითი რიცხვის ზმნები გადაიყვანეთ მრავლობითში, მრავლობითისა მხოლობითში და ისე გამართეთ ტექსტი.

შევუდექით შამბიანს, ბურიანს, გვერდოებს, ბუერის ძირები ცივი წყაროებით იყო მორწყული, აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებრ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა, ვწუხდით. დავწექით ბუერებში. მისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მზის სხივებს. უცებ გარშემო შემორტყმული მთების წვეროებიდან ამოსცვივდნენ ღრუბლები. შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იჭექა, ელვა გაიკლაკნა. წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე. მალე ჩვენ გარშემო ბუერებმაც დაიწყეს ტლაშა-ტლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქო ტყე და მთა-ბარი იქცეოდა (ვაჟა).

სავარჯიშო №7. ტექსტიდან ამოწერეთ ზმნები და აღნიშნეთ, რომელი რიცხვის ფორმაა და რა აწარმოებს მრავლობით რიცხვს.

იდგნენ და ელოდნენ. გარეთ, სახეზე არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა.

მთებო, მთებო, რას ელით, ვის ელით, ნუთუ გყავთ დიდი ხნის უნახავი? ელოდნენ. ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. ყვავილებს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსა ღვრიან.

სდგანან და ელოდებიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან, ელიან. ჰნახეს და გაათავეს (ვაჟა).

სავარჯიშო №8. მოცემული ტექსტიდან ამოიწერეთ ზმნები და ცვალეთ დროის მიხედვით, გააკეთეთ დასკვნა, რამდენ დროში გვხვდება ზმნა.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ. ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. წვიმას არ უშვებენ ჩემამდის.

კაცი ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს. ჩვენ წინ გამოიარა, ცალ მხარზე ცული ედო, მეორეზე თოფი ეკიდა. მიადგა ერთ მშვენიერ წიფელს და უშინა ცული და წააქცია. საბრალომ დაიკვნესა. ხე წაიქცა... ქედანი მოფრინდა და ხმა გაკმინდა... კვნესის, სტვენს. თოფი გავარდება... ხე წაიქცევა (ვაჟა).

ბერუა ბევრს რამეს იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს პურის საჭმელად არ დაეძახა (ვაჟა).

ეხლა ძლივს ამოვისუნთქე. როდისღა ვიგრძნობ იმგვარ სიამოვნებას? ნეტავ აღარ წამიყვანდნენ იმ ოხერს წუთისოფელში-მეთქი. ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შემისრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი და სულთამხუთავი მასწავლებლები არ დამადგებოდნენ თავზე (აკაკი).

სავარჯიშო №9. წაიკითხეთ მაგალითები და ზმნისაგან გამოყავით ზმნისწინები.

შემოდი, ბიჭო, შინა, ვინა ხარ? - დაუძახა მამაჩემმა.

ჩქარა ვახშამიც მოიტანეს და ყველანი, გარდა მამაჩემისა, შემოვუსხედით სუფრას. ვახშამი მხიარულად გავატარეთ. გადაიღო თოვლმა. ვფიქრობდი ხვალ როგორ გამეტარებინა დროება, ან ბიძაჩემის ნადირობა როგორ ჩაივლიდა. შუაღამეს ბიძაჩემმა გაიხედა კარებში და წაიბუტბუტა, ძლივს არ გადაიღო ამ სატიალემაო. მობრუნდა შინ, ჩამოიღო თოფი. ჭრაქი აანთო, ბუხარში ცეცხლი აასინათა და დაუწყო თოფს წმენდა. ჩახმახს ტალი გამოარიდა, ჩანთიდან ამოიღო პატარა თითბრის ყალიბი და პატარავე ტყვიის სადნობი ტაფა და დაუწყო ტყვიას ცეცხლზე დნობა. რამდენიმე ტყვია ჩამოასხა და ახლა სასწრაფოს მიმართა, ამოაძრო მასრები, გადააწყ-გადმოაწყო რქის საწყაოთი, რომელიც სასრაფოზე ზედ იყო დაკიდებული. წრიპის თასმებიც დაპოხა.

სავარჯიშო №10. ტექსტში მონახეთ ზმნები. მიუთითეთ რას აღნიშნავს ზმნისწინი და განსაზღვრეთ, რა არის ზმნისწინი.

რამდენი შიში და ვაება გამოვიარე... სიკვდილი არც კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა. მეც თავს ვუშვერდი, რომ გავეგრილებინე (ვაჟა).

ესე წვრილიანზე ავიროთ. ველის პირად ნუ გამოვჩნდებით. დედაჩემი წინ წავიდა. მე გავხედე. ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე... დედაჩემმა მოირბინა და მითხრა: წავიდეთ ჩქარა! (ვაჟა).

დედაჩემი მიგორავდა. არყების უკნიდან გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. გაუმარჯოსო! დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საბრალო დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა, შეჩვენებულმა მონადირემ ამოაძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას, უცებ... შეიდო კისერზე და გასწია (ვაჟა).

უნდა დაგენახათ, როგორი სიცქვიტით ავარდებოდა მსხმოიარე ხეებზე, როგორ დაქანდებოდა იქიდან და სრიალით ჩამოვიდოდა ძირს (ნ. ლომაური).

სავარჯიშო №11. მოცემულ ზმნებში გამოყავით ფუძე.

აგორდა, ვვარჯიშობ, ვასეირნებ, ვვაჭრობ, ვვალალებ, შეცურდა, შიშობთ, აქებს, მირბის, ამოიტანა, შემოცურდა, ჩამოსრიალდა, აართვა, შეუერთდა.

სავარჯიშო №12. ამოიწერეთ ზმნები და აღნიშნეთ, რომელია სწორი (ნორმატიული) და რომელი არასწორი (არანორმატიული). დაასაბუთეთ ნორმატიულის

(ლიტერატურელის) სისწორე და არანორმატიულის (კუთხურის, დიალექტურის) არამართებულობა.

1. თქვენც არ მამიკვდეთ, აი, თუნდაც თქვენი მაზლი, - განა გლეხია? (ილია).
2. რაიდ შავესწროდი? ადრინდელ თქმულებას გიზრახავნ (ილია).
3. წარხდა, მაისრნა ქვეყანაი (ილია).
4. მან შველა ვერ მასცის, შაწუხდის უშველი ერი (ილია).
5. კაცი უბრალიდ არ წარხდის (ილია).
6. იქმონენ, თავი არ მამიკვდება, იქმონენ (ილია).
7. რაიდ ვიქნები, ქართველ ვარნ მახევე.

_ კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

_ არაა გონჯაი. ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს... (ილია).

_ საცინალს ვიცინი. ცარიალ სტვამაქი აგით ვერ გაძღების.

_ რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი. პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექნების. ვიწროდ ვარნ (ილია).

წერილობით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. როგორ სიტყვას ვუწოდებთ ზმნას?
2. ზმნის რომელ ნაწილს ვეძახით ფუძეს?
3. რა თავსართი გამხოატავს პირველ პირს?
4. რა საშუალებით გამოიხატება პირველი და მეორე პირის მრავლობითობა?
5. რით გამოიხატება მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა?
6. რა ნიშნებით გამოიხატება მესამე პირის მრავლობითობა?
7. რას ჰქვია ზმნისწინი?
8. რა და რა სახისაა ზმნისწინი?
9. რატომ არ შეიძლება ზმნისწინის ფორმის შეცვლა?
10. რა მოსდის პირველი პირის ნიშანს ვ-ს ო და უ ხმოვნების წინ?

კარნახი: «ვამოწმებ ჩემს ცოდნას».

საღამო მოახლოვდა. ზევიდან მოწმენდილი ლურჯი ცა და ქვეშ მოთეთრებული დედამიწა რაღაც დიდებულ შეხედულებას სდებდა ბუნებას. თითქოს ცამ და ქვეყანამ ამოისუნთქაო. არემარეში ჩამოდგა სიცივე და დაიწყო ყინვა... ვინც მორჩა ყაზახების სამსახურს, მიისწრაფოდა შინისაკენ, რომ სახვალიო საკალანდო სამზადისის თადარიგი მოესწრო თავის ოჯახში... გოგია უიშვილი თავჩაქინდრული მოჰყვებოდა უკან თვალედასიებულ მარინეს. უფროსმა გამოიჩინა სულგრძელობა და დუბარა მამასახლისს: რადგან ხვალ ახალი წელია, ის გლეხი გაათავისუფლეო. მამასახლისმა აასრულა უფროსის ბრძანება. გაათავისუფლა გოგია და მისი ცოლი და ის იყო, მიდიოდნენ შინ.

(ეგნატე ნინოშვილი)

ზმნიზედა

სავარჯიშო №1. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ ზმნიზედები და გაარკვიეთ, რას აღნიშნავს თითოეული მათგანი:

მაშინ წარსდგა ბატონის წინ
დიდი თორნიკ ერისთავი,
წინ დაუდგა ფეხთით დროშა
და მიართვა რაღაც ტყავი (აკაკი).

ღრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს
არჩვებ-ჯიხვების მაღალ სამთავროს
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს (აკაკი).

შედი მარტოა კათალიკოსი,
ნუ ეგუდები იქ დიდ კარებსა,
ჩვეულებრივად ცრემლით მლოცველი,
ეძლევა საღმრთო ნეტარებასა (აკაკი).

ბოლოს შენიშნა... აკურთხა მაღლით
წინ წადგა ბერი, ჯერ უამბორა.
მერე ჩამოდგა და შორიახლოს
ის თავდახრილი კრძალვით გაჩერდა.
კათალიკოსმა შეჰხედა მაშინ
ლმობიერებით და გაიცინა (აკაკი).

აქ ისე დამდოვრებულია, ისე დადუმებულია, თითქო ან როზგ-ქვეშ არის გატარებული, ან დიდი ჩინი მიუღიაო, მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს. (ილია)
არჩილი ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. (ილია)

განსაზღვრეთ რა არის ზმნიზედა? უპასუხეთ კითხვებზე!
1. რომელ სიტყვას უკავშირდება ზმნიზედა?
2. რას აღნიშნავს ის და რა კითხვებზე უპასუხებს?
3. რომელს ვეძახით ადგილის ზმნიზედას, დროისა და ვითარებისას?

სავარჯიშო №2. რვეულის ფურცელი გაყავით სამ ნაწილად. პირველ ნაწილში მოათავსეთ ადგილის ზმნიზედები, მეორეში - დღროსა და მესამეში _ ვითარებისა.

1. ველზე სქლად იწვა ბალახი (ვაჟა).

2. გუშინ ცამ იჭექა, ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს (ვაჟა).

3. უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა (ვაჟა).

4. შუადღისას დაღალაც - დაქანცული ქედანი მოვიდა და დაგვიჯდა წინ (ვაჟა).

5. მერე ძირს ჩამოვარდა, ცემს წინ დაეცა (ვაჟა).

6. გორაზე ვიღაც პატარა გადმოდგა, გადმოგვხედა და სწრაფად მიბრუნდა სინისაკენ (ვაჟა).

7. ყველაზე უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ (ვაჟა).

8. მეც მეგონა, იქნებ ამას იქით სულ ესე კარგად მომექცეს -მეთქი და ვიყავი ამ ვაებაში ცალკე სი, ცალკე სკოლაში (ვაჟა).

9. ძალიან ცოცხალი ბალღია. წუხერ აღარ დაგვაძინა (ვაჟა).

10. ზოგნი მოსულიყვნენ ადრე და სხვების მოლოდინიც ჰქონდათ (ვაჟა).

11. ქვევიდან, შორს სოფლიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა (ვაჟა).

12. აბა, აქ არის, რაც არის ! (ვაჟა).

13. შაშვი ამჟამად თავს გამარჯვებულად თვლიდა (ვაჟა).

14. ბულბული რომ გალობდა, იქვე, ჭალაში, ამ დროს აივანზე ისხდნენ მოხუცი მღვდელი ირიდიონი და მისი ერთადერთი შვილი, სემინარიელი ვანო (ვაჟა).

15. წუხელ ვისთან იდექით? - ჰკითხა მამაჩემმა ბერუას (ვაჟა).

16. მეც არ მეძინა და ვფიქრობდი იმაზე, ხვალ როგორ გამეტარებინა დროება (ვაჟა).

17. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს (ვაჟა).

18. იქვე კოდალა მჯდარიყო ერთ ყინჭზე ფუღუროში და იმან მრავალჟამიერი დაიძახა (ვაჟა).

19. რა ჯურის ჭიას და ბუზს იტყვით, აქ არ მოეტანათ (ვაჟა).

20. სუფრა გრძლად იყო გაშლილი და ზედ ათასნაირი საჭმელები და ხილეულობა ელაგა (ვაჟა).

დაიმახსოვრეთ: ზედსართავი სახელი ვითარებით ბრუნვაში ზმნიზედაა. მაგ.: თეთრად, წითლად, დიდად, კარგად და ა. შ.

სავარჯიშო №3. ზმნიზედების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები და გაარკვიეთ მათი კითხვები:

აქ, იქ, შარშან, დღეს, გაღმა, მაღლა, დაბლა, გუშინ, კვირას, წელს, ძალიან, კოხტად, ფრთხილად, შინ, ზემოთ, იქით, წინათ.

რთული სიტყვები

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რა საშუალებით შეიძლება რთული სიტყვის მიღება?

2. რა მართლწერის წესები დავიცვათ რთული სიტყვების მართლწერისას?

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ მაგალითები. ამოიწერეთ რთული სიტყვები. დაშალეთ შემადგენელ ნაწილებად, საჭირო შემთხვევაში დეფისის ნაცვლად დაწერეთ და კავშირი.

1. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვალებით მოწინწკლული თხელი ქათიბი (ვაჟა).
2. გზადაკარგული დავდივარ (ვაჟა).
3. მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ (ვაჟა).
4. საბრალო დედაჩემი გრძნობდა, რომ ასე იქნებოდა (ვაჟა).
5. წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდან, თვითონ თავშიშველნი ტოტებს მე მაფარებენ (ვაჟა).
6. წვიმა ძუძუს გვაწოვებს დედამიწის გულზე (ვაჟა).
7. მაშ, ნეფე-დედოფალი არ უნდა ადღეგრძელო? (ვაჟა).
8. ცოლ-ქმარი, ზაქარია და ქეთევანი, მიეფარნენ ტყეს (ვაჟა).
9. მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთადერთი სიტყვა ჩვენი შებრალებისა (ვაჟა).
10. გუშინ ცამ იჭექა. ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს (ვაჟა).

სიტაქსი და პუნქტუაცია
წინადადება

სავარჯიშო №1. აღნიშნეთ რამდენი სიტყვისაგან შედგება მოცემული წინადადებები.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება. მთებს სუდარა ჩაუცვამთ ტანზე. დაგვმარხეთ, დაგვიტირეთო, - გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას.

სდგანან და ელიან. გული სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან. არ ჭლექდებიან. ელიან. ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას ელიან. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა. სწორედ რომ ისაა (ვაჟა).

უპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:
1. რას ჰქვია წინადადება?
2. რამდენსიტყვიანი შეიძლება იყოს წინადადება?
3. აზრს რისი საშუალებით გამოხატავთ?
4. რისგან შედგება წინადადება?

სავარჯიშო №2. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში დასვით სასვენი ნიშნები და აღნიშნეთ, რამდენი სიტყვისაგან შედგება.

ახლა წადი დამეკარგე ფრთხილად არსად შემეყარო რომ ცუდ გულზე უცაბედად შენი სისხლი არ დავღვარო (აკაკი).

აქ ავიდგი მე ფეხი აქ ამოვიდგი ენა აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც (აკაკი).

გათენდა ინათა წვიმს ყინავს ჩაბინდდა ხალხი დაწყნარდა დედაჩემი წავიდა ჩიტებმა მორთეს სიმღერა ხავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად გაზაფხულდა ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია

უპასუხეთ შემდეგ კითხვებზე:
1. რას ჰქვია წინადადება?
2. რამდენსიტყვიანი შეიძლება იყოს წინადადება?
3. აზრს რისი სასუალებით გამოვხატავთ?
4. რისგან შედგება წინადადება?

სავარჯიშო №2. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში დასვით სასვენი ნიშნები, აღნიშნეთ რამდენი სიტყვისაგან შედგება.
1. დაღმა დაეშვა ღამურა მიმართა ისევ ძველ სადგურს (აკაკი).
2. ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი ნაბდის თასმებს ნელა იხსნის (აკაკი).
3. ირიჟრაჟა ქარი ცადგა გადიყარა დადგა დარი
4. ლურჯ ბედაურს მოაგელვებს მეგობრისთვის მეგობარი (აკაკი).
5. ეუბნება ყოველიფერს უნებურად რაც შეემთხვა ცრემლები სდის და ეჩრება ბურთად გულში მწარე სიტყვა

სიტყვათა შეკავშირება

სავარჯიშო №1. გადაიწერეთ მოცემული სიტყვების ჯგუფები. დათვალეთ რამდენი სიტყვაა და აზრობრივად დაუკავშირეთ ისინი ერთმანეთს.

ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსები. ძიძა ჩამიკრა გული. გამოჩნდება ყველაფერი წყალი. დიდი სიცილი ამ შემთხვევა გამოიწვია. შეჰკივლა მამაჩემი უცბად დედაჩემი. თვალყური მოსამსახურეები ადევნებდა ყოველთვის. მამაჩემი თავის იყო დრო განთქმული მოჭადრაკე. კაცები საქმე უფრო ჰქონდათ სასახლე. დილიდან მე ერთად ამხანაგები საღამომდე მინდორი სულ დავრბოდი. ამ ყური მოსამსახურეები უგდებდნენ მუსაიფი. დედაჩემი არ ჩვენ გვაქალაჩუნებდა. ფეხშიშველა მინდორი დავრბოდით სულ. დინჯი მასპინძელი ლაპარაკი.

აზრობრივად დაკავშირების ნიმუშები ამ წინადადებებიდან «ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებთან» - გვექნება:

1. ფეხშიშველა გავრბოდი.

2. მწყემსებთან გავრბოდი.

ნიმუში: «დედაჩემმა უცბად შეჰკივლა მამაჩემს».

1. დედაჩემმა შეჰკივლა.
2. მამაჩემს შეჰკივლა.
3. უცბად შეჰკივლა.

დავალება. გადაწერეთ მოცემული მაგალითები. შეაკავშირეთ სიტყვები და დათვალეთ, რომელი მეტყველების ნაწილი უფრო მეტად არის გამოყენებული შეკავშირებაში?

1. არწივს ამალიდან დაეთხოვა ყვავი (ვაჟა).
2. საღამო ხანზე ტყიდან ჩვეულებრივად გამოითამაშა კურდღელმა (ვაჟა).
3. დედას ძალიან უყვარს თავისი საყვარელი შვილების ჟღრუტული (ვაჟა).
4. კურდღლის წინათგრძნობა იმავე დღეს ასრულდა (ვაჟა).
5. ხამ ბალახს ხარბად მაშინვე დაეცა მშიერი საქონელი (ვაჟა).
6. გაფაციცებით ცოცნიდნენ ძროხები ბალახთან ერთად ყვავილებს (ვაჟა).
7. მწყემსი ხის გრილოში იჯდა (ვაჟა).
8. თითო-ოროლა გადარჩენილი ყვავილი დიდად ჰგოდებდა დახოცილებს (ვაჟა).
9. დილის მზემ დააფრქვია ველს თავისი სხივები (ვაჟა).

ამხსნელი სიტყვა

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ წინადადებები და ამხსნელ სიტყვას გაუსვით ქვეშ ერთი სწორი ხაზი, ახსნილს კი _ ორი.

წითელი ვაშლი. კეთილი გული. ავი ქალი. ასპიტი გველი. ჭკვიანი სტუდენტი. საყვარელი ადამიანი. ადრე მოტყდა. გემრიელად მიირთვა. ტკბილად დაბერდა. სასტიკად მოექცა.

სავარჯიშო №2. წაიკითხეთ მაგალითები და წერილობით გადმოეცით, ვითარებით ბრუნვაში დასმული ამხსნელი სიტყვა მეტყველების რომელ ნაწილს უკავშირდება, ხოლო სხვა ბრუნვაში დასმული - რომელს.

მწვანედ ხასხასებს. წითელი კაბა. კარგად ცეკვავს. სუფთა ეზო. მწვანედ ღელავს. დიდი მინდორი. ლამაზი ქალი. სასიამოვნოდ მღერის. ღრმა ძილი. ღრმად ძინავს. კეთილი გრძნობა. ლამაზად იცვამს.

სავარჯიშო №3. მოცემულ სიტყვებს შეურჩიეთ თავისი შესაფერისი ამხსნელი სიტყვები.

გზა. წყალი. ქალაქი. წვიმა. შაქარი. ბამბა. ფოლადი. ვაშლი. დარდი. დღე.

სავარჯიშო №4. ქვემოთ მოცემულ სიტყვათა შეკავშირებაში სიტყვებს შეუცვალეთ ადგილი და გაარკვიეთ, რაიმე ცვლილება ხომ არ ხდება.

ჭრელი ქვა. ავი ქალი. კეთილი ძმა. მტირალა ბავშვი. დაჭრილი ვეფხვი. ძლიერი სეტყვა. უხილავი ძალა. კოხტა ქალი. წველა ყველი. სოხუმელი დევნილი. საზამთრო ვაშლი. მშვიდი საღამო. წითელი ვაშლი.

სავარჯიშო №5. მოცემულ ასახსნელ სიტყვებს შეუწყვეთ შესაფერისი რამდენიმე სინონიმი (ამხსნელი სიტყვა).

მზე. მოციგურავე. ღამე. ამინდი. პერანგი. ბიჭი. მეომარი. მსხალი. დგას. ჩანს. იმეორებს. ღებავს. ცეკვავს. ბრუნავს.

ნიმუში: მზე _ ბრდღვიალა, კაშკაშა, მწველი.
ბრუნავს _ სწრაფად, ჩქარა.

სავარჯიშო №6. მოცემულ შეკავშირებებში ამხსნელი სიტყვები შეცვალეთ საწინააღმდეგო სინაარსის სიტყვებით - ანტონიმებით.

მწარე წიწაკა. მჟავე ალუბალი. რბილი ავეჯი. მაღალი ქალი. გამხმარი ფოთოლი. მაღალი მთა. ლამაზად იცინის. კარგად იცვამს. ჭკვიანი ბავშვი. დახურული კარი. დიდი ღამე. პატარა დღე. მკაცრი ზამთარი. უხვი შემოდგომა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ამხსნელი სიტყვა დაქვემდებარებულია ასახსნელ სიტყვაზე, ასახსნელი სიტყვა გაბატონებულია, მთავარი.

სავარჯიშო №7. გაარკვიეთ, ქვემოთ მოცემულ სიტყვათა შეერთებაში როგორია აზრობრივი და გრამატიკული შეკავშირებები.

1. მჟავე ესენტუკის წყალი.
2. ცივი მთის წყარო.
3. მეგობრის ჩემი ამხანაგი.
4. ტკბილი ძროხის რძე.
5. ჭის ღრმა წყალი.
6. მაღალი სახურავის სახლი.
7. საყვარელი ღიმილი ქალის.
8. საინტერესო წიგნი ჩემი.

სავარჯიშო №8. ქვემოთ მოცემული გრამატიკული შეკავშირებებიდან რვეულის ერთ მხარეს ამოიწერეთ სწორი ფორმები, მეორე მხარეს - არასწორი. დაასაბუთეთ, რატომ?

1. მჟავე ტყის მსხალი.
2. ტყის მჟავე მსხალი.

3. მცხუნვარე მზის სხივები.
4. სხივების მცხუნვარე მზე.
5. დიდი მთის კალთა.
6. მთის დიდი კალთა.
7. დედის საყვარელი სურათი.
8. საყვარელი დედის სურათი.
9. კეთილი ჩემი ძმა.
10. ჩემი კეთილი ძმა.

სავარჯიშო №9. მოცემული წინადადებები წაიკითხეთ. დაუბოლოებელი სიტყვები დააბოლოეთ და კვლავ წაიკითხეთ.

ამ ყვირილ.... და ღრიალ.... ხალხი მოგროვდა. ჭიშკარ.... გაღებ.... ძაღლ.... შეჰყეფა.... კაცებ.... უფრო ცოტა საქმე ჰქონდ.... სასახლეში. ბუნება შეიცვალა მშვენიერ.... სურათ.... ნიკო.... გაშტერება.... დაუწყო ყურე.... მამ.... ისინ.... ჩამოხტ.... ცხენ.... და დასხდნ....

წინადადების წევრები

სავარჯიშო №1. მოცემული წინადადებებიდან ცალ-ცალკე სვეტში ამოიწერეთ: ქვემდებარე, შემასმენელი, განსაზღვრება (გარემოება ყველა ერთ სვეტში მოათავსეთ).

1. თითქმნის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა ძველად საკუთარი მღვდელი.
2. ერთხელ მე და ჩემმა ფარეშებმა მშვილდკიდლების კეთება დავიწყეთ.
3. შესვლისთანავე პირველ კედელთან დამაყენეს ანბანზე.
4. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური.
5. წინდაწინვე დამფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ.
6. იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელგანთქმული ახალგაზრდა - ბესარიონ ღოღობერიძე.
7. ასე იქცეოდნენ ყველა მაშინდელი მასწავლებლები.
8. განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები.
9. მასპინძელი დინჯად ლაპარაკობდა.
10. მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა.
11. მეორე დღეს ბაგრატიონი მარტო დამიხვდა ქვეყანაში.
12. ძველ დროში ჩვენი ქართველები განთქმული იყვნენ ცხენოსნობითაც ყველგან.
13. აქ დაწვრილებით გავუზიარე მას, თუ რა იდუმალი განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლის.
14. მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოდ.
15. ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო (აკაკი).

სავარჯიშო №2. მოცემული ტექსტიდან ამოიწერეთ ყველა შემასმენელი, ქვემდებარე და დაუსვით კითხვები.

თოვს. ქარი ბობოქრობს. შეკუნტრუშდა დედაჩემი. იგრიალა თოფმა. არყების უკნიდან გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი. მე დავიწყე ტირილი. გუშინ ცამ იჭექა. ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენ წინ კაცმა გამოიარა. უცებ თოფი გავარდა. გულმა ვეღარ მომითმინა. ბიძაჩემი შიგ ჩამდგარიყო. როცა ქარი უბერავს, ხეები ირწევიან, ხმელი წიფელი არ ინძრევა. ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება ხმელი წიფელი. ღამღამობით ათასში ერთხელ ხმელ წიფელზე ბუ შეჯდება. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს. კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჭია (ვაჟა).

სავარჯიშო №3. გაარკვიეთ მოცემულ წინადადებაში რამდენი სიტყვაა და რამდენი წევრი.

1. ჩვენ წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა (ვაჟა).
2. კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი (ვაჟა).
3. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო (ვაჟა).
4. წეღან ველის პირად გავედი დაღონებული (ვაჟა).
5. ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე! (ვაჟა).
6. აგე ყურები არ გადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდამ (ვაჟა).
7. მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი დედის დარიგებას (ვაჟა).
8. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორთული (ვაჟა).
9. გულისფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას (ვაჟა).
10. ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა (ვაჟა).
11. უცებ, როგორც ცის ჭექა, იგრიალა თოფმა (ვაჟა).
12. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის (ვაჟა).
13. თანდათან მივუახლოვდი ჩემს სოფელს (ვაჟა).
14. ოჰ, შენი ჭირიმე, დედავ, რამოდენებია (ვაჟა).
15. არაგვისთანა მსხვილი იხვი დედამიწის ზურგზე სადღა შეიძლება იყოსო (ვაჟა).

სავარჯიშო №4. მოცემული წინადადებებიდან ცალ-ცალკე ამოიწერეთ ერთ და ორსიტყვიანი წევრები.

1. მთის ქარაფებში თევზის მარაგი არისო.
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკას კასპიის ზღვა ალამაზებს.
3. ბორჯომის წყალი ყველა ქვეყანაში გააქვთ.
4. დილა გათენებული იყო.
5. სახლი ცხრა მუხის ბოძზე იყო შესკუპული.
6. მაგას ხომ თქმაც არ უნდაო.
7. თბილისი იმ პერიოდში არაბებით იყო სავსე.

8. დროსტარება და ქეიფი ხშირი იყო.

წინადადების არაწევრი სიტყვები

სავარჯიშო №1. მოცემულ წინადადებებში მონახეთ და ამოწერეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც წინადადების წევრები არ არიან.

1. ნეტა, ძიავ, მეც შენისთანა მონადირე ვიყო-მეთქი, - ვუთხარი ბიძაჩემს (ვაჟა).
2. ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, საცოდავსა (ვაჟა).
3. რა თქმა უნდა, ამ გონივრული მიზეზის შედეგი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც (აკაკი).
4. ჰო, ისემც კარგი დაგემართოს, ისინიც ხომ ჩემისთანა მიწიშვილები იქნებოდნენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდნენ? (აკაკი).
5. პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდეც წააგო.
6. ერთს ჩვენს გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხიც ემართა (აკაკი).
7. თვითონ დედაჩემი, როგორც წინეთა ვსთქვი, მშრომელი იყო (აკაკი).
8. ამგვარი ცივი ნუგეშებით გვისტუმრებდნენ ხოლმე, მაგრამ სხვისთვის რომ უსამართლოდ წკიპურტი გვეკრა, არ შეგვარჩენდნენ და უთუოდ გადაგვახდევინებდნენ (აკაკი).
9. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონე, და ტკბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად (აკაკი).
10. მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გავიქეცი (აკაკი).
11. მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ისეთი მომცინარი სახე მქონდა, რომ ტირილის დროსაც კი მეღიმებოდა (აკაკი).
12. ერთხელ, საღამოს, სტუმრად მოჰყვა როზდიევიჩი (აკაკი).
13. გეტყობათ, თავადო, რომ ბევრი ფული მოგაქვთ თან (აკაკი).
14. მარტო რომ არ წავსულიყავ, ჩემის, ჩემსავითვე გამოუცდელ მსახურის ანაბრად, თანამგზავრიც მიშოვა (აკაკი).
15. ხელმწიფემ ბრძანა, რომ აბაშიძე ცხენზე მჯდომი, გადახატეთ და სურათი სასახლის გალერეაში ჩამოჰკიდეთო (აკაკი).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებაში მოძებნეთ ისეთი სიტყვები, რომლებსაც კითხვა არ დაესმით.

1. იქით სად უნდა წასულიყო (ბ. ჩხეიძე).
2. სიტყვა კი არ დაივიწყო, ჩემო რძალო, ჩაი მოსვით (ილია).
3. მშვიდობით, ჩემო რძალო, ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია-თქო (ილია).
4. ის რა მოიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგვერთოსო (ილია).
5. ეჰ, შე დალოცვილო, აქა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა (ილია).
6. ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო (ილია).

7. დიაღ, შენი ჭირიმე, სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ (ილია).

8. შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს (ილია).

9. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა ის კი გიქნია? (ილია).

10. ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უღელქვეშ შებმულან და ერთს ბედის კალთას ქვეშ ამოფარებულან (ილია).

11. მაჭანკალი გძელიძეებისაგან გამოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული დარბაისელი, ღაბირი და ქვრივი დედაკაცი (ილია).

12. აბა, სომეხი ხომ იცი, რა ურიაა (ილია).

13. თუ შენ შემეწევი, ჩემო დათო, და ჩემს პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანთ (ილია).

14. აბა, გეთაყვანე, იმის ანგარიშში მიმაქვს (ილია).

15. დერეფნის წინ, ერთი ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებული, შემორგვალული, თითქო განგებ შემოკვეცილაო (ილია).

სავარჯიშო №3. რვეულის ფურცელი სიმაღლეზე ოთხ ნაწილად გაყავით. პირველ ნაწილში ჩაწერეთ თანდებული, მეორეში - კავშირი, მესამეში ნაწილაკი, მეოთხეში - შორისდებული და ქვემოთ მოცემულ წინადადებებიდან ამოწერეთ სიტყვები, ჩაწერეთ მათთვის განკუთვნილ ადგილას.

1. ვიშ, ამ დილასა, ამ ჰაერს (გრ. ორბელიანი).

2. მე კი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა! ხელმწიფე და უღონო გაგონილა? (ილია).

3. ვინც მოსავლის დროს შინ არა დგება, განა იმისგან, ან გლეხობა ჩადინოს და მესვეურსავით მკაში ბეგრის ხალხთან ოფლი იწუროს? (ილია).

4. ეჰ, შე დალოცვილო აქა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა (ილია).

5. ესე ვიყავით, თითქოს ერთი ხორცი გვაქვს და ერთი სული (ილია).

6. აბა, რასაკვირველია, არ გეხსომება, შენ სამი წლისა იყავი, როცა მე ქმარი მომიკვდა.

7. მაშ, ქა, ფულს ისე ვინ განდობს, მე რომ მქონდეს არ დაგიჭერ ხომ იცი (ილია).

8. ლუარსაბს იამებოდა ხოლმე, როცა ეგრე იხსენიებდნენ იმის გვარს, ორონდ ეს გეთქვა და ჩოხას გაიხდიდა (ილია).

9. დიახ, იმ უცნაურმა სიზმარმა გამაგიჟა, წუხელის რომ უნახავს მოძღვარს (აკაკი).

10. კი მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, თუ სულ არ ეჩიჩინები თავისთავად არაფერს მოიფიქრებენ (აკაკი).

11. ბევრს ეჭირა თვალი სასიძოდ ბაში-აჩუკისაკენ, ანუ როგორც შემოკლებით ეძახდნენ ბაჩუკისაკენ, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი (აკაკი).

12. რო აგრილდება, ლამის გულსაც გადავაყოლებ, თქვენ გამო.

13. განა ვერ შეატყვე, რომ უბრალოსთან გქონდა საქმეც (აკაკი).

14. ერთმა გლეხმაც მკითხა, შენ როდესღა წაიკითხავ ჩემ მაგიერადო (აკაკი).

15. მოსკოვში დაბეჭდილი «როზღოვორი» გვქონდა და იმას გვაკითხებდნენ ხოლმე (აკაკი).

სავარჯიშო №4. მოცემული სიტყვების მიხედვით შეადგინე წინადადებები:
და, თუ, როგორც, მაგრამ, ხოლო, კი, უნდა, ეხ, უი, ვიშ, ფუი, რომ.

სავარჯიშო №5. წაიკითხეთ წინადადებები და ხაზი გაუსვით ისეთ ბგერას, ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც ადამიანის გრძნობის გამომხატველია.

1. ჰმ, მეც არა ვთქვი! წყალს თალხი დაჰკრავდა (აკაკი).
2. ვეჟო, რა არის მაგისთანა? (აკაკი).
3. ეე, ბიჭო, ბიჭო, რა არის მაგისთანა! კირილეს დამიძახეთ (აკაკი).
4. ჰმ, შინ ლუკმას გვაცლიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს გვიყრიან ძაღლებსავით (აკაკი).
5. ჰაი, ჰაი, ჰაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!.. (ილია).
6. უი, ლაფი დავასხი თავზედ, კაი გვარის მასახელებელნი ისინი ყოფილან!
7. ვაი, შენს ლუარსაბსა! - წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა (ილია).
8. ვა!.. უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა (ილია).
9. უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, რადაც უნდა ჰღირს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზე ვარ (ილია).
10. ვაჟო, მე ვარისხებ ღმერთსაო? - გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი (ილია).
11. ეჰ, შე დალოცვილო, იწურებოდი, თითქოს პირველად ჩაგედინოს ამისთანა საქმე (ილია).
12. ახ, ნეტავი კი მართლა ჰშობო და (ილია).
13. ფუი, დალახვრა ღმერთმა (ილია).
14. ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი (ილია).
15. ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! - დაუძახა შორიდანვე არჩილმა.

შემასმენელი

სავარჯიშო №1. მოცემული ტექსტიდან ამოწერეთ წინადადების ისეთი წევრები, რომლებიც გამოხატავენ საგნის მოქმედებას.

ბიძაჩემმა შველი ცალის ხელით ჩამოჰკიდა და ორივემ ტყავება დაუწყეს... ნახევარზე ჩამოატყავეს, რომ ამ დროს მამაჩემიც გამოჩნდა. ჯოხს მოიბჯენდა, უკან დიაკვანი მოსდევდა, რომელსაც ჟამდავითნი ეჭირა და სულ უკან ტარსტა მოჩანჩალებდა. რამდენიმე სხვა სოფლის დარბაისელი კაცი დაეპატიჟა მამას სადილად. შველი რომ დაინახა მამაჩემმა, ძლიერ გაუხარდა და ბიძაჩემ ნინიას გამარჯვება მიულოცა. თვითონაც ანაფორა გაიძრო და თავს დასტრიალებდა ნანადირევს. ჯიბიდან ამოიღო კალმის დანა, თითონ ააჭრა სუკები, ცალკე თეფშზე დააწყო და

დააბასტურმა... დიდხანს არ გაუვლია, რომ სუფრას ვუსხედით და ბუხარში შველის მწვადები შიშინებდა. ჩემი ნათესავი ქალები და ძალუკები მოვიდნენ ჩემ სანახავად მოსაკითხით (ვაჟა).

სავარჯიშო №2. მოცემული წინადადებებიდან ამოწერეთ ისეთი წევრები, რომლებიც გამოხატავენ საგნის მდგომარეობას.

1. ისიც უღრანს ტყეში დგას, ერთს კლდის თავზედ (ვაჟა).
2. მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა, იქ ვცხოვრობდით (ვაჟა).
3. ყველანი ფეხზედა დგანან, ხელები უდევთ ხმლებზედა (ვაჟა).
4. დაღამდა, ცისკრის ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა (ვაჟა).
5. წინ გვედვა მიცვალებული, ხევსურნ შაწყენით ისდენა (ვაჟა).
6. მენაც იქ ვიყავ, ვსტიროდი, როგორც წესია კაცისა (ვაჟა).
7. კლდედ იდგა, გუტეხლადა, ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა (ვაჟა).
8. რამდენი სიპები აწყვავ (ვაჟა).

სავარჯიშო №3. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ ისეთი წევრები, რომლებიც მოგვიგებენ კითხვაზე: როგორია საგანი?

1. თავგასულია სკლიაროს, მთავარი ბარდაველიო (აკაკი).

2. მართალია და იმიტომაო, - იტყოდა ხოლმე გიორგი - ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედა ახიაო (ილია).
3. ესეც იმისათვის გულმოდგინედ, სულ პირდაღვრემილია და წარბსეკრულიაო (ილია).
4. ბიჭი ძალიან ხელგამომავალია, მაგრამ ცხონებულსათვის გულღია და გულმხიარული არ არისო (ილია).
5. გაშლილი მთვარე ნათელია.
6. ბულბული მგალობელია.
7. მგელი მტაცებელია.
8. საქართველო თავისი ბუნებით ლამაზია.

სავარჯიშო №4. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ ისეთი წევრები, რომლებიც უპასუხებენ კითხვაზე: ვინ არის საგანი?

ნინო მოსწავლეა. ირმა ეკონომისტია. თემური პროფესორია. დედაჩემი ექიმია. მამაჩემი მერია. ჩემი ძმა ინჟინერია.

სავარჯიშო №5. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ შემასმენლები და გვერდზე მიუწერეთ მეტყველების რომელი ნაწილითაა გადმოცემული.

1. ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო (ილია).

2. იგრიალა ხალხმა (აკაკი).
3. კონსტანტინე გამსახურდია უდიდესი მწერალია.
4. მოიხადა ქუდი და მიაშურა პირჯვრისწერით (აკაკი).
5. სავანე აკაკი წერეთლის სოფელია.
6. გაულეწიათ ბერძნები, იჩაგვრის ძველი ლომიო (აკაკი).
7. მოხუც კნეინას ცრემლები მოერია (აკაკი).
8. კრიალოსანი მიაგდო მაგიდაზე (აკაკი).

სავარჯიშო №6. მოცემული ტექსტიდან ამოიწერეთ შემასმენელი და არსებითი სახელი, რომელიც მასთან ერთად არის ნახმარი და გაარკვიეთ, რომელ ბრუნვაში დგას არსებითი სახელი.

ცხენოსანი პირდაპირ სასახლისაკენ მოაგელვებდა ცხენს. ზაალმა შენიშნა... ცხენოსანი ამასობაში პირდაპირ მოადგა არაგვს. ხიდი რომ წაღებული დაუხვდა, მხედარმა ფონს დაუწყო ძებნა. აატარ-ჩამოატარა წყლის პირად ცხენი და ბოლოს უკანვე გააბრუნა... ცოტა ხნის შემდეგ ამოჰყო ცხენმა თავი და იწყო ცურვა გვერდულად. ცხენი მოტრიალდა... წყალმა დიდი ხე ჩამოატარა და მოხვდა ცხენს. ცხენი მოტრიალდა. მხედარმაც მიუშვა ლაგამი...
ყვირილზე მარიამი შემოვარდა დაფეთებული. ქმარმა უამბო ყოველიფერი. (აკაკი).
ზაალს დაეკრიფა ხელები. მარიამს დაეთვალიერებინა (აკაკი).

სავარჯიშო №7. მოცემულ სიტყვათა შეკავშირებაში ცვალეთ ზმნა სამივე დროის მიხედვით და შეუწყვეთ სახელი.

გიორგიმ დამიძახა. მასწავლეს გაკვეთილები. გლეხები შეგროვდნენ. სახლს უშენებდა. ხილი მიართვა. ჰკითხა მამამ. წაიყვანეს ბავშვები. ლეკური დაუკრა. ბავშვმა დაუკრა.

სავარჯიშო №8. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ ზმნა-შემასმენლები და ცვალეთ პირის მიხედვით.

ოთახში სასიამოვნო სუნი იდგა. ქალი ავარდა სახლში და ცეცხლი მოედო კედლებს. გიორგიმ სკოლის კარი პირველად შეაღო. დედამ სიხარულით ჩაიკრა გულში პატარა. მოსწავლემ დაიწყო დაფაზე წერა. ჰაერში ზეთის სუნი დატრიალდა.

სავარჯიშო №9. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ შემასმენლები და გაარკვიეთ, რა განსხვავებაა მათ შორის.

1. ჩემი განსაცდელი რაღა სახსენებელია, შენი ჭირიმე, მაშინ, როცა მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილი (აკაკი).
2. საქართველო თავისი ბუნებით ლამაზია.

3. მერედა ორი ათასი კაცით სამოცი ათასზე გალაშქრება რა მოსაფიქრებელია (აკაკი).

4. სასახლეში ბევრს არავის დარჩენია სასიამოვნოდ ახალგაზრდა გლახუკის გამარჯვება.

5. კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი, დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში (აკაკი).

6. უცბად აიღო თავი ახალგაზრდამ და რაღაც ჰკითხა მოხუცს (აკაკი).

7. ამისთანები ბევრი რამ ესმოდა ბიძინას, მაგრამ ხმას არ იღებდა (აკაკი).

8. ჩოლოყაშვილმა კარგი ფეხი ვერ მოუტანა სპარსელებს.

9. სიუხვით ყველას წერეთელმა გადააჭარბა (აკაკი).

10. ტერტერას ქვრივს ერთი სიტყვა მათი ლაპარაკიდან არ გამოჰპარვია (აკაკი).

ქვემდებარე

სავარჯიშო №1. მოცემულ ტექსტში მონახეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც მოქმედ საგანს გამოხატავენ.

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა. საყდრიდან ხალხი ადრე გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და სოფიო იყვნენ. ეფემია კი სახლში მზარეულობდა. დიასახლისი სტუმრებს მოელოდა. ჩვეულებისამებრ ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ არ დადგებოდა. ეფემიამ ყველაფერი მოამზადა... წინ მღვდელი მაქსიმე მოდიოდა. იმას გვერდს მოსდევდა დიაკვანი. დიაკვანს ათიოდე გლეხკაცი მოჰყვებოდა. ეფემია მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას.

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებაში მონახეთ ქვემდებარე და გამოიცანით, მეტყველების რომელი ნაწილით არის გადმოცემული.

1. მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა.
2. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად.
3. თავზარდაცემული თაგვები უმალვე დაფრთხნენ.
4. მასპინძელი დინჯად ლაპარაკობდა.
5. მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხა.
6. ცხელი მჭადი მომედო ბარძაყზე.
7. ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა.
8. მე პირველ მოწაფედაც კი ვირიცხებოდი.
9. მეც უეცრად გადავიხარხარე - ხოლმე.
10. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან თავისი მაინც არ დაიშალა.
11. ჩვენ თითქმის ყველა ვტიროდით და იმ დღიდან ის უფრო გვებრალებოდა.
12. ერთ ღამეს ვიღაცამ თოფი ჰკრა და მძინარი მოჰკლა.
13. ორმა ჩაის დაუწყეს სმა.
14. სიხარულმა ამიტანა მოულოდნელად.
15. ის სამუდამოდ ჩამრჩა გულში.

16. მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო.
17. შენიშვნები ბევრმა გამოთქვა.
18. სუფრაზე მხოლოდ სამნი ისხდნენ.
18. ცოფიანი ვენახებში გადახტა.

(აკაკი)

ქვემოთ მოცემული სავარჯიშოების მიზანია მოსწავლეებმა და სტუდენტებმა გაიგონ, რომ ქვემდებარე გადმოიცემა არა მარტო არსებითი და ნაცვალსახელებით, არამედ ზედსართავით, რიცხვითი სახელითაც და სხვა საშუალებებითაც, რომლებიც უკვე ნასწავლი აქვთ სტუდენტებს და საგანგებოდ ისწავლიან მოსწავლეები შემდეგ კლასებში.

სავარჯიშო №3. მოცემულ წინადადებებში მონახეთ ქვემდებარე და დაუსვით კითხვები.

1. ქალაქში წამსვლელი მრავალი გამოჩნდა.
2. ჭკვიანი უკანმოუხედავად გაიქცა.
3. სოფელში მხოლოდ ორნი ჩავიდნენ.
4. რეგვენმა რა იცოდა წიგნის ფასი.
5. ცოფიანი ვენახში გადახტა.
6. მე შემოვდივარ ზრდილობიანად, შენ კი მიბღვერი (ილია).
7. მამაჩემი წავიდა და გაიმართა თამაშობა (აკაკი).
8. პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდეც წააგო (აკაკი).
9. ჩემს სახლს დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგზვები... თავმომწონედ შლიდნენ რტოებს (აკაკი).
10. გაიარა ორმოცდაათმა წელიწადმა (აკაკი).

სავარჯიშო №4. მოცემულ ტექსტში მონახეთ ქვემდებარეები და გაარკვიეთ, რომელ ბრუნვასა და რომელ რიცხვში დგანან.

1. მამაჩემმა გამოაყვანინა ნაქართალი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულად დაუწყო მუსაიფი ბატონს (აკაკი).
2. ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი (აკაკი).
3. ერთ ღამეს ვიღაცამ თოფი ჰკრა და მძინარი მოკლა (აკაკი).
4. ერთხელ კამეჩები დარჩენილიყვნენ საჩეხს გარეთ (აკაკი).
5. მწყემსებს გადაერეკა საქონელი (აკაკი).
6. აზატ გლეხებს არაფერი გადასახადი არ ემართათ (აკაკი).
7. მოჯალაბედ გახდებოდა მხოლოდ ნაყიდია ანუ ტყვედ წაყვანილი (აკაკი).
8. ერთ გლეხს წელიწადი ათი კოკა ღვინო ემართა (აკაკი).

სავარჯიშო №5. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ ქვემდებარეები და შემასმენლები და გაარკვიეთ, რომელ რიცხვში შეეწყობა ისინი და რატომ?

1. ჩვენი ცოლ-ქმარი კი იმედს არ ჰკარგავდა (ილია).
2. ალვანის მინდორი მოჭედილი იყო ხალხით (აკაკი).
3. განთქმული ფალავნები ერთმანეთს არ ზოგავდნენ გვარტომობის გაურჩევლად (აკაკი).
4. იმ ხანებში არეულობა მოხდა იმერეთში (აკაკი).
5. შველი ძაღლივით აედევნა (აკაკი).
6. უცბად შუაგულ ტყეში შენობა გამოჩნდა.
7. მერცხლები ბუდის გაკეთებას შეუდგნენ (ი. გოგებაშვილი).
8. იმ დღიდან მეც შენი სიყვარული ჩამივარდა გულში (აკაკი).
9. მაყურებლები გაოცებულნი პირჯვარს იწერდნენ (აკაკი).
10. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველა გაოცებული უყურებდა ერთმანეთს (აკაკი).

კითხვები:
1. წინადადების რომელ წევრს ჰქვია ქვემდებარე?
2. მეტყველების რომელი ნაწილით გადმოიცემა ქვემდებარე?
3. რომელ ბრუნვებში გვხვდება ქვემდებარე?
4. რამდენი რიცხვი აქვს მას?
5. რომელი რიცხვისა და ბრუნვის ფორმებით გვხვდება იგი შემასმენელთან?

დამატება

უპასუხეთ კითხვებზე:
1. წინადადების რომელ წევრს ჰქვია დამატება?
2. რა და რა სახის გვხვდება ის?
3. მეტყველების რომელი ნაწილებით გადმოიცემა?
4. რომელ ბრუნვებში გვხვდება?
5. დამატება როგორი ფორმით შეიძლება შეგვხვდეს?
6. რა კითხვებზე მოგვიგებს ის?
7. წინადადებაში რომელ წევრს ახლავს იგი?

სავარჯიშო №1. მოცემული წინადადებებიდან ამოკრიბეთ დამატებები და გაარკვიეთ, როგორია, რომელზეც მოქმედებენ, რომლითაც მოქმედებენ, თუ ვისთვისაც ან რისთვისაც მოქმედებენ.

1. მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა.
2. სტუმრები ჰკვირობდნენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას.
3. დედინაცვალს არ მოსწონდა იოთამის შვილები.
4. არწივმა ბევრი იცინა კოდალას ახირებაზე.

5. ქულაჯაზე ნუ მასხამ ღვინოს.

6. ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

7. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელ წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის შიმშილისაგან შეწუხებული.

8. მონადირეებს ენახათ ხმელი წიფლის გარშემო დედა ვეფხვის კვალი.

9. ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავ ხმელს წიფელს.

(ვაჟა)

10. ბონდო საალერსო სიტყვებით მივიდა მამასთან (ა. ჩაჩიბაია).

11. სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა (ლ. ასათიანი).

12. ხევხუვი სავსე იყო თოვლით (თ. რაზიკაშვილი).

13. სკამზე წყლით სავსე პატარა თუნგი იდგა (ა. გაწერელია).

14. ერთობოდა თარითა და ჩანგურით (ა. გაწერელია).

15. ცხენები ლაგამით მიგყავს მთის კლდოვან აშიაზე (ა. გაწერელია).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ დამატებები და გაარკვიეთ მეტყველების რომელი ნაწილით არის გადმოცემული.

1. ვერც ამ სიტყვებმა მოიყვანეს გონზე გამწარებული სუტ-კნეინა (ილია).

2. ის ისევ ისე სიმწრისაგან გონებამიხდილი იყო (ილია).

3. ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდა მკითხავს (ილია).

4. გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად (ილია).

5. დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში (ილია).

6. გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგირეს (ილია).

7. სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის (ილია).

8. არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა (ილია).

სავარჯიშო №3. მოცემულ ტექსტში მოძებნეთ დამატებები და გაარკვიეთ, რომელი ბრუნვის ფორმით არიან მოცემული.

გაიცნობდნენ მალხაზს, მოისმენდნენ მის საუბარს, გაიგებდნენ რას ლაპარაკობენ სხვები მასზე და ისინიც იტყვიან. ბევრი კარგი ბიჭი გვინახავს, მაგრამ ამ მალხაზზე უკეთესი ბიჭი მაინც არსად გვეგულებაო. მან აიყვავა ჯეჯილები, გაწეწილი ღიღილოები, ააფრინა ტოროლები, რომლებიც მოჰყვნენ მზისა და დედამიწის ქებას. მოვიდნენ გუგულები და გააბეს «კაფე-თესე» (რ. ინანიშვილი).

სავარჯიშო №4. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ დამატებები და გაარკვიეთ, რა კითხვაზე მოგვიგებენ.

1. ალექსანდრემ ნადირი შეაგროვა (ლ. გოთ.).

2. მზარეულმა ხახვი დანით დაჭრა (ლევან ასათიანი).

3. სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა და ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად (ლევან ასათიანი).

4. აგარაკზე წასული დეკანოზი ქალიშვილით უკან მობრუნებულიყო (ბ. ჩხეიძე).

5. ბარძიმი გულში ნაღველჩაგუბებული ჩავიდა ეტლით სენაკში (ბ. ჩხეიძე).

6. ირემი ჭირისუფლად მივიდა (ნ. ლორთქიფანიძე).

7. სიტყვას იტყვი, ლექსად მოვა, სიმს ჩამოჰკრავ, კვერად მოვა (გ. შატბერაშვილი).

8. იგი აირჩიეს ქარავნის მეთაურად (გ. შატბერაშვილი).

9. გული ჩემი შენს მონას ვრაცხე (ი. აბაშიძე).

სავარჯიშო №5. მოცემული წინადადებებიდან ამოწერეთ ერთად დამატება და ის სიტყვა, რომელსაც დამატება ახლავს და გაარკვიეთ, რომელ მეტყველების ნაწილს და რა წევრს ახლავს დამატება.

1. გარემოების მიხედვით მიმინოც სცვლიდა ჰანგსა (ტ. რაზიკაშვილი).

2. ჰაერს არ აწუხებს მისი გაშლილი მლავი (კ. ლორთქიფანიძე).

3 ალაპლაპებული სითეთრე თვალებს ჭრიდა (რ. ჯაფარიძე).

სავარჯიშო №6. მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ სემასმენელი, ქვემდებარე და დამატება. შემასმენელს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს - ორი, დამატებას - კლაკნილი.

1. პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო (ხალხური).

2. ყველაზე უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თავის ქმრისგან (ილია).

3. ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენიათ გიორგიზედ (ილია).

4. ამათ დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა (ილია).

5. თედის მანასაანთ გოლასთვის ქამრის ღილები წაერთმია (ილია).

6. გიორგის მოეწონა ამისთანა სითამამე მოჯამაგირისა (ილია).

7. მარტო ეხლა მეწისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი (ილია).

8. ბალახებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა (ვაჟა).

განსაზღვრება

უპასუხეთ კითხვებზე:

1. წინადადების რომელ წევრს ჰქვია განსაზღვრება?

2. მეტყველების რა ნაწილებით გადმოიცემა განსაზღვრება?

3. რა კითხვები დაესმის განსაზღვრებას?

4. კითხვების მიხედვით რა და რა ჯგუფებად შეიძლება დავყოთ განსაზღვრება?

სავარჯიშო №1. მოცემულ წინადადებებში მონახეთ განსაზღვრებები და ამოწერეთ:

1. ამგვარებში ლუარსაბმა საშინელი კვნესა იცოდა (აკაკი).
2. რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რომ მოჰკალი (ვაჟა).
3. ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული (ვაჟა).
4. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებრ პატარა ნუკრის ნაფეხურები (ვაჟა).
5. საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მასინებდა წეღან, ეხლა სრულებით არ მეჩვენა საზარელი (ვაჟა).
6. იმის ახლოს იჯდა გულწითელი ჩიტი, წიფლისჩიტა, უწყინარი, უნვებელი, ღაბუა (ვაჟა).
7. ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა (აკაკი).
8. მშვენიერის სურათს წარმოადგენდა ეს კრება (ილია).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებებში გავარკვიოთ განსაზღვრება საზღვრულის წინ დგას თუ სემდეგ?

1. მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი სისხლივით წითელი (ი. გოგებაშვილი).
2. თუ ამას გავიგონებდი ჭრელს ჩავიცომდი კაბასა (ვაჟა).
3. ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა (ილია).
4. იტყვიან მაღლის მტის ძირას, უღრანს, უდაბურს ტყეშია (ვაჟა).
5. წამოდგა ქალი, ტურფა, ლამაზი (შ. სახ.).

სავარჯიშო №3. მოცემულ წინადადებებში მონახეთ განსაზღვრებები და დაუსვით კითხვები:

1. მწვანის ქათიბით კოხტაობს მთების ქედები ტყიანი (ვაჟა).
2. ერთი მაისმა შორითა მწარე ქვითინი ქალისა (ვაჟა).
3. საქმე გაჭირდა, დედილო, ურჯულო თათრებისგანა (ვაჟა).
4. სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა (ვაჟა).
5. ცივი უბერავს ნიავი, ლაშქარს ნამს აყრის თავზედა (ვაჟა).
6. მოკლულმა შემომანთხია ბოროტი სისხლი პირზედა (ვაჟა).
7. გაიშრიალა ახალ, ნორჩის ფოთლით შემოსილმა წიფლის ტოტებმა (ვაჟა).
8. თქვენ კარგად ვერ იცნობთ მუხთალ წუთისოფელს (ვაჟა).
9. ნუცამ მისაღები გამოცდები კარგად ჩააბარა.
10. მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ ბიჭები.
11. ვახტანგს სკოლაში საკლასო ოთახი ღია დახვდა.
12. გიორგი საშემოდგომო არდადეგებზე ბაკურიანში ისვენებდა.

სავარჯიშო №4. მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ შესაფერისი განსაზღვრებები:
წვიმა, მინდორი, ქვა, წუთისოფელი, ქალაქი, ტყე, მთა, კუნძული.

სავარჯიშო №5. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ან პატარა მოთხრობები.

1. ფუტკარი, თაფლი, ტკბილი, სარგებელი, ადამიანი, სიკეთე, ჯანმრთელი.
2. თოვლი, თეთრი, ცივი, დედამიწა, საბანი, ციგა, ცურაობა, ბავშვები, მხიარულობა.
3. მწვანე, გაზაფხული, ია, ყვავილი, ტყე, შემოსა, ფრიველები, გახარება.

სავარჯიშო №6. მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ მსაზღვრელი სიტყვები:

საქართველო, თბილისი, მტკვარი, გზატკეცილი, ბორჯომი, ვაზი, კარადა, სარკე, ფოთოლი, მუხა, ტყე, მთა, ირემი, არწივი, მოთხრობა, გაზაფხული.

სავარჯიშო №7. მოიფიქრე 8-10 განსაზღვრება და შეადგინეთ პატარა მოთხრობა.

გარემოება

უპასუხეთ კითხვებზე:
1. წინადადების რომელ წევრს ვუწოდებთ გარემოებას?
2. რა კითხვები დაესმის მას?
3. რა და რა სახის გარემოებას იცნობთ?
4. რა კითხვა დაესმის ადგილის გარემოებას?
5. დროის გარემოებას, ვითარების გარემოებას?
6. მიზეზის გარემოებას, მიზნის გარემოებას?

სავარჯიშო №1. მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ გარემოება და აღნიშნეთ რა სახისაა.

1. ცის მახლობლად, მტის მწვეტვალზე მერცხლის ბუდედ რაღაც მოსჩანს (აკაკი).
2. იქ ჰყრია დიდი ლოდები, შავფერი, ციხის კარული (ვაჟა).
3. მთაზე დაენთო ცეცხლები, როგორც ვარსკვლავნი ცაზედა (ვაჟა).
4. ისხდნენ ბანზედ და ღრეობდნენ (ვაჟა).
5. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც (აკაკი).
6. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდვა დიდი, უზარმაზარი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გიზგიზებდა (აკაკი).
7. ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი (აკაკი).
8. სასახლეში ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ (აკაკი).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებებში მონახეთ გარემოებები და განსაზღვრეთ, რა განსხვავებაა მათ შორის.

1. საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია.

2. სწორედ ამ ჩიხურის პირას, მაღლობზე, დგას ორსართულიანი კვითკირის სახლი (აკაკი).

3. სახლში დარჩნენ მხოლოდ ბატონები (აკაკი).

4. მე გული ისევ ჩემი სოფლისაკენ მიმიწევდა (აკაკი).

5. 1820-ში, თეოფილაქტეს დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, ამ აჯანყების მეთაურად ითვლებოდა დიდი ინავე აბაშიძე (აკაკი).

6. ამ დროს ფეხის ხმაურობაც მოესმა დარეჯანსა (ილია).

7. ლამაზისეული იყო ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული... (ილია).

8. გოგო იქიდან ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა (ილია).

9. იქით, ღობის გადმორმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძაღლი წევს (ილია).

10. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალს იქითკენ, საცა ძაღლი განცხრომით წევს და მოსვენებაშია (ილია).

11. წინ წამოდგა სასაუბროდ, მოწიწებით ტკბილხმიანი (აკაკი).

12. გარეთ საშინელი ჭექა-ქუხილი გრუხუნებდა.

სავარჯიშო №3. მოცემული წინადადებებიდან მონახეთ გარემოებები და განსაზღვრეთ, რა განსხვავებაა მათ შორის.

1. ირგვლივ უცხონი ისხდნენ (ა. გაწერელია).

2. გზის გადაღმა და გადმოღმა მწვანე ბალახი ბიბინებდა (ნ. ლორთქიფანიძე).

3. იოთამი გზაში შეხვდა (ვაჟა).

4. უკანასკნელი შეძახილი ჭიშკართან მოისმა (ვაჟა).

5. ყველანი გაცვივდნენ ბაკში (დიმ.).

6. ახალგაზრდა ქალი უგონოდ ეგდო მიწაზე (ნ. ლორთქიფანიძე).

7. კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს, ლეკვები მგლისანი (ხალხური).

8. სამი დღე განუწყვეტლივ თოვდა (მ. ჯავახიშვილი).

9. სწრაფად შეაყენა თოფი ტარიელმა (ლ. ქიაჩელი).

10. გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად (ილია).

11. არსენას სანახავად მთელი სოფელი მოსულიყო (მ. ჯავახიშვილი).

12. ტასიკოს შიშით სული შეუგუბდა (ვ. ბარნოვი).

სავარჯიშო №4. «გოგია უიშვილის» მესამე თავიდან «გაწკეპლვა» ამოიწერეთ გარემოებანი.

წინადადება შინაარსის მიხედვით

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რა და რა სახის წინადადებას იცნობთ?

2. როგორ წინადადებას ეწოდება თხრობითი?

3. რა სასვენი ნიშანი იხმარება თხრობითი წინადადების ბოლოს?

4. როგორ წინადადებას ეწოდება კითხვითი?
5. რა სასვენი ნიშანი იწერება კითხვითი წინადადების ბოლოს?
6. სად მოელის მახვილი კითხვითსიტყვიან წინადადებას?
7. თუ კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა არ გვაქვს, სად დავსვამთ მახვილს?
8. როგორ წინადადებას ჰქვია ბრძანებითი?
9. რა და რა სახის გვაქვს ბრძანებითი წინადადებები?
10. რა სასვენი ნიშანი იწერება ბრძანებითი წინადადების ბოლოს?
11. როგორ წინადადებას ეწოდება ძახილის?
12. რა მეტყველების ნაწილით გადმოიცემა ძირითადად ძახილის წინადადება?
13. რა სასვენ ნიშანს ვხმარობთ ძახილის წინადადების ბოლოს?
14. როგორ წინადადებას ვუწოდებთ კითხვით-ძახილისას?
15. რა სასვენ ნიშანს ვხმარობთ კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს?

სავარჯიშო №1. ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან «კაცია ადამიანი?!» ამოიწერეთ 5 თხრობითი, 7 კითხვითი, 5 კითხვა-ძახილის წინადადება და დაუსვით სათანადო სასვენი ნიშნები.

სავარჯიშო №2. მოცემული წინადადებებიდან განსაზღვრეთ, რომელია კითხვითსიტყვიანი.

1. მართლა, ჩემო მაზლო, ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს (ილია).
2. რაზედ გაცხარდი, შენ გენაცვალე?
3. მაშ, შენ ბოზბაშს ამჯობინებ? (ილია).
4. პატარძალი სად არის? (ილია).
5. ეგ რა არის, შვილო. მაჩვენე ერთი რა გაქვს გატეხილი? (ილია).
6. როგორ მოგეწონა ეს ამბავი? (ილია).
7. მაშ, გიორგის შეირთავდი? (ილია).
8. ეს ამბავი ვინ გითხრა? (ილია).
9. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? (ილია).
10. ეს რა ჰღმუის? (ილია).

სავარჯიშო №3. გამოიცანით როგორია ქვემოთ მოცემული წინადადებები შინაარსის მიხედვით და დაუსვით სათანადო სასვენი ნიშნები.

1. ვიშ, ამ დილასა, ამ ჰაერს ბუნების განმაცხოველსა (გრ. ორბელიანი).
2. განა იქ კი ვერ გაიჩენენ საქნარს (აკაკი).
3. რა ზღაპრული მზე ამოდის, რა გამამხნევებელია ეს ჰაერი (მ. ჯავახიშვილი).
4. ფუ, მაგ ნამუსს და მაგ კაცობას (ილია).
5. ეჰეი, როგორ გაზრდილხარ, ბიჭო (ბ. ჩხეიძე).
6. გულმა აღარ მომიტმინა (აკაკი).

7. როგორ არ უნდა მეშინოდეს (ვაჟა).
8. ვა, გაგონილა (ილია).

წინადადება აგებულების მიხედვით

კითხვებზე პასუხი:
1. რა და რა სახის იცით წინადადება აგებულების მიხედვით?
2. რა სახის შეიძლება იყოს მარტივი წინადადება?
3. რამდენსიტყვიანი შეიძლება იყოს მარტივი წინადადება?
4. როგორ წინადადებას ჰქვია გავრცობილი წინადადება?
5. როგორ წინადადებას ჰქვია გაუვრცობელი წინადადება?
6. როგორ წინადადებას ვუწოდებთ სრულს, უსრულს?
7. რომელია წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები?
8. რა შემთხვევაში გვხვდება უფრო მეტად უსრული წინადადება?
9. როგორ წინადადებას ჰქვია შერწყმული?
10. რა საშუალებას ვიყენებთ ერთგვარ წევრთა შესაკავშირებლად?
11. რაზეა დამოკიდებული შემასმენლის რიცხვი ერთგვარ ქვემდებარესთან?
12. როგორ სიტყვას ეწოდება განმაზოგადებელი?
13. რა შემთხვევებია განმაზოგადებელი სიტყვების ხმარებისა და რა სასვენი ნიშნები იხმარება მათთან?

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ, რა სახისაა ისინი აგებულების მიხედვით.

1. მამაჩემმა გამოაყვანინა ბიჭი (აკაკი).
2. გლეხკაცები ძლიერ დასაჯეს (აკაკი).
3. მის უფროს შეგირდს მისთვის კარგი ნიშანი დაესვა (აკაკი).
4. მგალობელი ჩიტი არ ლხინობდა, არ იცინოდა (ვაჟა).
5. ფრინველთ ხმა გაკმინდეს, ბუზების ფრენა ისმოდა, ყვავილთ სული განაბეს და მოტრფიალე თვალებით შესცქეროდნენ მგოსანს (ვაჟა).
6. ბულბულის სტვენამ ნაღველი აღუძრა გულში (ვაჟა).
7. ძუძუს მაწოვებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა (ვაჟა).
8. ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედაჩემისგან (ვაჟა).
9. ეხლა ისინი ახალს კაბებს და ქათიბებს ჩაიცვამენ (ვაჟა).
10. ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა (ილია).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებებში განმაზოგადებელ სიტყვას გაუსვით ქვეშ ხაზი და დასვით სასვენი ნიშნები.

1. ახმეტაში ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა გონებას მიწა წყალი ტყე მთა ველი (აკაკი).

2. ბატსა იხვსა და ქათამსა ყველას გავკარი კბილია (ხალხური).

3. ხვნა თესვა მკა ყველაფერი კარგად იცოდა პატარა აკაკიმ (აკაკი).

4. თბილისიდან ჩამოვიდნენ პოეტები გალაკტიონი გოგლა ტიციანი კოლაუ.

5. დღეს საქართველოში მოჰყავთ სხვადასხვა ჯიშის პურეული ხორბალი შვრია ფეტვი და სხვ.

6. სოფელში კრიახობდნენ შინაური ფრინველები ქათმები მამლები ინდაურები.

მიმართვა

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რას ჰქვია მიმართვა?

2. რამდენი სიტყვით შეიძლება გადმოიცეს მიმართვა?

3. რომელი სასვენი ნიშნები იხმარება მიმართვასთან?

4. რომელი სასვენი ნიშნები იხმარება ცალკე მდგომ მიმართვასთან?

5. წინადადებაში სად შეიძლება შეგვხვდეს მიმართვა და რა სასვენი ნიშნები დაისმის?

სავარჯიშო №1. მოცემულ წინადადებებში მონახეთ მიმართვა და გაუსვით ქვეშ ხაზი. აღნიშნეთ, რა ადგილი უკავია და დასვით სასვენი ნიშნები:

1. ჩვენო არაგვო რა რიგ მიყვარხარ ქართლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ (ილია).

2. მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა! (ილია).

3. დათო ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდან? (ილია).

4. მაშ ნეფე-დედოფალი არ უნდა ადღეგრძელო შე ბრიყვო? (აკაკი).

5. მშვენიერო ბულბულო, რატომ შენს მშვენიერ ხმას არ გაგვაგონებო? შესთხოვეს ბულბულს ფრინველთა (ვაჟა).

6. ჩვენო დიდებულო მეფევ გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთო (ვაჟა).

7. რატომ არ მღერით მთებო? (ვაჟა).

8. ყმაწვილებო ძველ დროში საბერძნეთში განგებ დაათრობდნენ ხოლმე მონებს (აკაკი).

9. კნეინავ ნუ შეწუხდებით თითო-ოროლა ცუდი ყველგან ურევიაო (აკაკი).

10, ეგ ბიჭო, ბიჭო რომელი ხართ მანდა! კირილეს დამიძახეთ, მომგვარეთ აქა! (აკაკი).

11. მაგრამ ქართველნო სად არის გმირი რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი.

12. შრომისა შვილო მძიმე უღელი ქვეყნის ცოდვისა შენ გაძევს კისრად (ილია).

13. სამშობლო მთებო თქვენი შვილი განებებთ თავსა (ილია).

14. თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი გული თქვენთან ჰე მთებო ბუნებითა შეუღლებული (ილია).

15. ერთს ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ (ილია).

შორისდებული

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რას ჰქვია შორისდებული?
2. რას გამოხატავს შორისდებული?
3. რა სასვენი ნიშანი იხმარება შორისდებულთან?
4. რა სასვენ ნიშანს ვწერთ ცალკე ხმარებულ შორისდებულთან?
5. თუ შორისდებული წინადადების თავშია და დიდი გრძნობით არის წარმოთქმული, რა სასვენ ნიშანს ვწერთ?
6. თუ შორისდებული მეორდება, რა სასვენ ნიშანს ვწერთ თითოეულის შემდეგ?

სავარჯიშო №1. მოცემულ წინადადებებში მონახეთ შორისდებული და გაარკვიეთ, რა გრძნობას აღნიშნავს:

1. ვაიმე, მამა მე მომკვდომიყო, როზგქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად (ილია).
2. უი, უი, დახე იმას, იმ წყეულს» ამას იქით როგორღა ამბობს, იმ თავადისშვილის ცოლი ვარო (ილია).
3. ოჰ, ღმერთო! რატომ წარღვნა არ მოვა (ილია).
4. ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! (ილია).
5. უჰ, უჰ, უჰ» ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ღირს (ილია).
6. ვა!.. უფრო შეჰყვირა ლუარსაბმა (ილია).
7. ადათი! ჰმ! მაშ, ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილახეს (აკაკი).
8. ოჰო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც გატყობ და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე? - მითხრა ხუმრობა (აკაკი).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებაში მონახეთ მონათესავე შორისდებულები და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები.

1. ვაი ამისთანა ქვეყნის შენახვას (აკაკი).
2. ოჰ მელანო შენა ხარ ჰკითხა ერთმა, რომელსაც მეთაურობა ეტყობოდა (აკაკი).
3. იძახდნენ მართლის ჯვარმცმელნი. ვაჰმე რა დიდი ჭირია (ვაჟა).
4. ნეტავ რას მემუდარები მე რა გიამბო აბაო (ვაჟა).
5. ვაი ვაი დედილო მგელი დედილოჯან მგელი (ვაჟა).
6. ჰაი სე ბრიყვო გჯერა რასაც ეგენი ამბობენ? (ვაჟა).
7. უი დედაც აქა ჰყოლია (ვაჟა).
8. ვაიმე თუ დაიჭირა დედაჩემი და თავისის ალმასის კბილებით სწეწს (ვაჟა).
9. ჰა ჰა ჰაა ჩაიცინა ბიძაჩემმა მწარედ (ვაჟა).

რთული წინადადება

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რამდენი წინადადება შეიძლება იყოს რთულ წინადადებაში?
2. როგორ წინადადებას ვუწოდებთ რთულს?
3. რა და რა სახის შეერთება გვაქვს რთულ წინადადებაში?
4. რას ეწოდება კავშირიანი შეერთება?
5. რა კითხვებს ვიყენებთ რთულ წინადადებაში?
6. რა შემთხვევაში ვხმარობთ მძიმეს უკავშირო რთულ წინადადებაში?
7. რა შემთხვევაში ვხმარობთ ტირეს რთულ წინადადებაში?
8. რა შემთხვევაში ვწერთ მძიმეს კავშირთან რთულ წინადადებაში?

სავარჯიშო №1. მოცემული წინადადებები დაშალეთ შემადგენელ ნაწილებად და აღნიშნეთ, რა სახისაა ისინი?

1. მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა და მეც ნახვისთანავე ისე შემაყვარა თავი, რომ მოშორება აღარ მინდოდა (აკაკი).
2. ცხენოსანმა მისი ბედაური გაჭენ-გამოაჭენა ჭალებში, გაახურა და წამოიყვანა პირდაპირ მდინარისაკენ (აკაკი).
3. მეორე დღეს, დილით ადრე, გამოსულიყო ზაალ აივანზე და ჭალებს გადაჰყურებდა (აკაკი).
4. გამხიარულებული ბუხარი გუგუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა (აკაკი).
5. საკენკით მოტყუებული და ალერსით თვალახვეული კახეთი მიხვდა, რომ უბედურებაში იყო ჩავარდნილი (აკაკი).
6. სიღარიბე უფრო მაღალ წოდებას დაეტყო და შიმშილით გამწარებული თავადაზნაურობა დაბალ წოდებას დააწვა თავზე (აკაკი).
7. ეს რომ თქვა, წამოვარდა ზეზე, გავარდა აივანზე და გიჟივით დაიწყო სიარული.
8. ყეენის ტახტზე აბრძანების დღეობას იხდიდნენ, ალვანის მინდორი ხალხით იყო გაჭედილი (აკაკი).
9. ოქროს კარავში ალი-ყული ხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემოხვეული (აკაკი).
10. მისი ნაერთგულარი ბაქარას შვილები დასაკარგავად არ ემეტებოდა, მაგრამ აბაშიძის მეშურნეობამ დარია ხელი (აკაკი).

სავარჯიშო №2. გაარკვიეთ, მოცემულ წინადადებაში რა კავშირებია გამოყენებული.

1. რამდენჯერმე მოიხედა თიმსალ-მაკოსკენ, მაგრამ ის ვერ ხედავდა (აკაკი).
2. გულში ჩაიდვა ბაში-აჩუკის ჯავრი და სულ მარტოდმარტო აქეთ-იქით დაეხეტებოდა მთელი დღე (აკაკი).

3. უვლიდა გარშემო ხეს ფეხის ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს (ვაჟა).

4. მე და დედაჩემი აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით (ვაჟა).

5. ის არ ჰგავდა წყლის ჩხრიალს, რომელიც მუდამ მესმის (ვაჟა).

6. არ ვიცოდი და არც მესმოდა. თუ ვის უფრთხოდა (ვაჟა).

7. ამოვაღებინე სკივრიდან ჩემი ხანჯალი, რომელსაც ჟანგი მოჰკიდებოდა (აკაკი).

9. ნეფე-დედოფალი მოიწვიეს ყვავილებით დაფენილ ტახტზე და წვეულნიც წამოსხდნენ მწკრივად (ვაჟა).

10. სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავლისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები თურმე აკლდებათ (ილია).

სავარჯიშო №2. გაარკვიეთ, მოცემულ წინადადებაში რა კავშირებია გამოყენებული.

1. რამდენჯერმე მოიხედა თიმსალ-მაკოსკენ, მაგრამ ის ვერ ხედავდა (აკაკი).

2. გულში ჩაიდვა ბაში-აჩუკის ჯავრი და სულ მარტოდმარტო აქეთ-იქით დაეხეტებოდა მთელი დღე (აკაკი).

3. უვლიდა გარშემო ხეს ფეხის ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს (ვაჟა).

4. მე და დედაჩემი აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით (ვაჟა).

5. ის არ ჰგავდა წყლის ჩხრიალს, რომელიც მუდამ მესმის (ვაჟა).

6. არ ვიცოდი და არც მესმოდა. თუ ვის უფრთხოდა (ვაჟა).

7. ამოვაღებინე სკივრიდან ჩემი ხანჯალი, რომელსაც ჟანგი მოჰკიდებოდა (აკაკი).

9. ნეფე-დედოფალი მოიწვიეს ყვავილებით დაფენილ ტახტზე და წვეულნიც წამოსხდნენ მწკრივად (ვაჟა).

10. სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავლისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები თურმე აკლდებათ (ილია).

სავარჯიშო №3. წაიკითხეთ მაგალითები და გაარკვიეთ, რას აერთებს კავშირები.

1. არც ტანთ მაცვია, არც ფეხთა, დავდივარ დედიშობილა (ვაჟა).

2. საბრალო როდესაც წაიქცა, დაიკვნესა (ვაჟა).

3. მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ გეშინია, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოს (ვაჟა).

4. ვაიმე, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწს (ვაჟა).

5. იქნება ვეღარ მიპოვოს, თუ ცოცხალია (ვაჟა).

6. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცეცხლს დაუწყეს ფრქვევა (ვაჟა).

7. მე თავს ვუქნევდი და ვხაოდი, ხან ძუძუებში ვბურჩნიდი (ვაჟა).

8. როგორ არ უნდა მეშინოდეს, ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე!

9. მაგათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლია (ილია).

10. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა დედამ თავი შეაბრალა (ილია).

სავარჯიშო №4. მოცემულ წინადადებებში აღადგინეთ გამოტოვებული სიტყვები.

1. გოგიას დილიდან არაფერი ეჭამა, ხოლო გიორგის - ორშაბათიდან.
2. დედა თბილისში ჩავიდა სასწრაფოდ, მამა კი _ მოგვიანებით.
3. ახალგაზრდები ჩვენ გვიძღვნიდნენ სადღეგრძელოებს, ჩვენ კი - მათ.
4. დედამ ჭამა პური, მამამ - ხაჭაპური, შვილმა - მჭადი.
5. სპარსელები აღმოსავლეთიდან გვიტევდნენ, თურქები - დასავლეთიდან.

სავარჯიშო №5. გაარკვიეთ, მოცემულ წინადადებებში რა და რა შემთხვევაშია ტირე ნახმარი.

1. ხევი მთას მონებს, მთა - ხევსა, წყალნი - ტყეს, ტყენი - მდინარეთ, ყვავილნი - მიწას და მიწა თავის აღზრდილთა მცენარეთ (ვაჟა).
2. მთელი მთა-ბარი იქცევა (ვაჟა).
3. მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა, მთაში - მთა, ბარად - ბარია (ვაჟა).
4. სიკვდილს სიცოცხლე აღვუთქვით, და პირი - სისხლით ბანასა (ვაჟა).
5. ქართველი ქალი გადაიქცა ლეკ ქალად, კახეთის შვილი - დაღესტნის შვილად (ი. გოგებაშვილი).

სავარჯიშო №6. გადაიწერეთ ტექსტი და დასვით სასვენი ნიშნები.

აი, ასეთი იყო სახე იმ ოჯახისა სადაც მე სოფლიდან მომიყვანეს

სასახლეში რომ გამომიყვანეს პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი დედამ შემნიშნა ეს მიმიჩინა პატარა ბიჭები და თავი დამანება მე ახალ ამხანაგებთან ერთად როგორც წინათა ვსთქვი დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავრბოდი დედაჩემი საღამომდე სულ ფეხზე იდგა საღამოს შემობრუნდებოდა სახლში და მაშინ ჩვენც დაგვიძახებდნენ დაანთებდნენ ბუხარში ცეცხლს ბუხრის წინ გაგვიშლიდნენ ცხვრის ტყავს და დაგვსვამდნენ ზედ ირგვლივ შემოგვეხვეოდნენ ბიჭები და მოგვიყვებოდნენ ზღაპრებს დედა იქვე იჯდა ტახტზე და წიგნს კითხულობდა ჩუმად კი ყურს გვიგდებდა ბიჭებს ურიგო რამე არ წამოსცდეს ყმაწვილებთანო ჩემ ამხანაგებში ერთი პატარა ბიჭი ერია დიდი გამოეშმაკებული მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა როცა დედა დაგვასწავლიდა საზეპირო ლოცვებს ეს ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა რომ სიტყვის გამეორებას ვერ ახერხებდა დედაჩემს ეს ძალიან უკვირდა (აკაკი).

სავარჯიშო №7. აღწერეთ გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის სურათები რთული წინადადების გამოყენებით.

სავარჯიშო №8. და, რომ, ხოლო, ან, თუ, ვინც, რაც კავშირების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები და გაარკვიეთ, რა აზრობრივი ურთიერთობაა რთული წინადადების ნაწილებს შორის.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

უპასუხეთ კითხვებზე:

1. როგორ შეიძლება გადმოიცეს სხვისი ნათქვამი?
2. როგორ ნათქვამს ვუწოდებთ პირდაპირს?
3. როგორ ნათქვამს ვუწოდებთ ირიბს?
4. ვისი სიტყვებია პირდაპირ ნათქვამში?
5. ავტორის სიტყვებს პირდაპირ ნათქვამთან რა ადგილი უკავია?
6. რა სასვენ ნიშნებს ვხმარობთ პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან?
7. რა ნაწილაკებით გადმოიცემა პირდაპირი ნათქვამი?

სავარჯიშო №1. მოცემულ წინადადებებში გამოარკვიეთ, რომელია პირდაპირი ნათქვამი და რა ადგილი უკავია.

1. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი, - თქვა შოთამ.
2. ლიახვმა თქვა: «ავდიდდები, არაგვს არ დავედარებიო».
3. რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო, - უთქვამს ბრძენს.
4. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს ტუნდა ხვადია, - თქვა ჯერ კიდევ XII საუკუნეში გენიალურმა შოთამ.
5. თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იწმევაო, - ამბობს ქართული ხალხური ანდაზა.

სავარჯიშო №2. აღნიშნეთ, რა საშუალებით არის გადმოცემული სხვათა სიტყვა:

1. მაშ, თუ აგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძაღლზე-მეთქი.
2. მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა: «დაგესხათ თავს ლაფი, გინდოდათ, რომ მოგეტყუებიათო?
3. შაოსანნი ჩურჩელებდნენ: ნამსახური კაცი რა გასაგდებიაო.
4. იწერება: ქრისტიანობა ამოვარდაო... წირვა-ლოცვა აღარ ისმის, ხატები შეურაცხყვეს და ტაძრები გააპატიურესო (აკაკი).
5. მე ფალავნებს ვეჭიდავები და არა გოლიათებსო, - მოახსენეს ქართველებმა (აკაკი).
6. არ გითხარი რომ ვერას დამაკლებ-მეთქი, გავუმეორე (აკაკი).
7. მოიკითხე, უთხარი, შემირიგდეს გიბრძანა-თქო (ს. მგალობლიშვილი).

8. მოახსენე, ამ საათშივე მეახლები-თქო (ევ. გაბაშვილი).

9. ვითამაშეთ და ქორმაც მე გამოტაცა-მეთქი, - ვუპასუხე სიცილით (აკაკი).

10. შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო, - იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა (ილია).

11. თვითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები რის მაქნისია, კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი, - უთხრა გიორგიმ (ილია).

სავარჯიშო №3. მოიფიქრეთ და დაწერეთ პირდაპირი ნათქვამის 6 წინადადება, ირიბისა კი ოთხი.

სავარჯიშო №4. ო, თქო, მეთქი ნაწილაკების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

სავარჯიშო №5. მოცემული ტექსტი გადაიწერეთ და დასვით სასვენი ნიშნები.

რა მოერია რამ სძლია რომ დაუღონა შვილი დედას ვერ გაეგო
შვილო შინ შემოდი დედამიწამ არ დაგცადოს უთხრა ერთხელ დედამა
არა მიშავს რა დედი ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე დედაშვილობას
ძილის დროა შვილო ლამის ალიონი ამოვიდეს
ეჰ დედი ზოგჯერ ძილიც ძილი არ არის
რატომ შვილო იკითხა დედამ და გასწია შვილისკენ თავს რომ წაადგა უთხრა
გიორგი შვილო არ მეტყვი ბიჭო რა წაგეკიდა დედა ვარ შენი დედა ნაღველი გაქვს რაღაცა და არ მეუბნები (ილია)

ფონეტიკა და გრამატიკა

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რას სწავლობს ფონეტიკა?
2. რა არის გრამატიკა?
3. რისგან შედგება სიტყვა?
4. რა არის ბგერა?
5. რა არის ასო?
6. რამდენი ბგერა გვაქვს დღევანდელ ქართულ ენაში?

სავარჯიშო №1. მოცემული სიტყვები ამოიწერეთ და გაარკვიეთ, რომელია სწორი.

კანკანი - კანკალი.	წრეულს - წლეულს.
რაჭური - რაჭული.	დეეწია - დაეწია.
გორური - გორული.	წუმწუმა - წუნწუმა.

სავარჯიშო №2. მოცემული სიტყვები ამოიწერეთ და გაარკვიეთ, რას იწვევს ბგერათა გადანაცვლება.

დრო - რდო.
ერბო - ებრო.
ორბი - ობრი.
ოქრო - ორქო.
პირველი - პრიველი.
ფიქრი - ფირქი.
შრიალი - შლიარი.
ცრუ - რცუ.
წარბი - წაბრი.
წიგნი - წინგი.
ჭრელი - რჭელი.
ხშირი - შხირი.

სავარჯიშო №3. გაარკვიეთ მოცემულ სიტყვებში, რომელი ბგერა-ასოებია განსხვავებული.

დარი - ღარი. ქერი - ჭერი.
ცელი - ძელი. ბერი - ფერი.
ძვალი - კვალი. კარი - ტარი.
თხა - ფხა. კივილი - ჩივილი.
ჭერი - ჯერი.

სავარჯიშო №4. წაიკითხეთ თავიდან და ბოლოდან მოცემული წინადადება და აღნიშნეთ რა მოხდა.

ატამი ითესა ასეთი იმატა.

ანბანი

უპასუხეთ კითხვებზე:
1. რამდენი ბგერა-ასო გვაქვს ქართულში?
2. რას ვუწოდებთ ანბანს?
3. რამდენგვარია ბგერა?
4. როგორ ბგერას ვუწოდებთ თანხმოვანს?
5. რამდენი თანხმოვანი ბგერაა ქართულში?
6. რომელ ბგერას ვუწოდებთ ბაგისმიერს?
7. რომელი ბგერებია წინანუნისმიერი?
8. უკანანუნისმიერი?

9. ხორხისმიერი?
10. როგორ ბგერას ვუწოდებთ ნ, რ, ლ-ს.
11. რისმიერია - ყ?
12. რისმიერია - ჰ?
13. რამდენი მჟღერი ბგერა გვაქვს?
14. რამდენია აქედან ხმოვანი?
15. თანხმოვანი?
16. რამდენი ყრუ თანხმოვანი გვაქვს?
17. რომელი ბგერებია მკვეთრი?
18. რომელი ფშვინვიერი?
19. როგორ განვასხვავებთ მკვეთრებს ფშვინვიერებისაგან?
20. დაასახელეთ სამეულები, წყვილეულები, ცალკეულები, დაასახელეთ საწარმოთქმო ორგანოები, რომელი ორგანოებია აქტიური?

სავარჯიშო №1. მოცემული ტექსტი გადაიწერეთ. პირველის გარდა ყველა ა გადაშალეთ. წაიკითხეთ და ისე დაითვალეთ ასოები.
აბგათ ევზათ იკალ მანო
პაჟა რასტა უფქა ღაყაშ
ჩაცა ძაწა ჭახა ჯაჰა
ნიმუში: აბგდ ევზთ იკლ მნო და ა. შ.

სავარჯიშო №2. მოიგონეთ რა სახელს ვუწოდებთ პირველ ორ ასოს და შეაერთეთ მათი სახელწოდებანი.

სავარჯიშო №3. ჩამოთვალეთ ხმოვნები და მოიფიქრეთ ისეთი სიტყვები, რომლის თავშიც ისინია.

სავარჯიშო №4. მონახეთ ბაგისმიერი ბგერების შემადგენელი სიტყვები.

სავარჯიშო №5. მონახეთ ისეთი სიტყვები, რომლებშიც ერთად იქნება - ბვ, ფვ, ჰფ, ძხ, ცს, წს.

სავარჯიშო №6. წარმოთქვით კ ისეთ სიტყვებთან, რომლებიც იწყება ო-თი და უ-თი.

სავარჯიშო №7. ჩქარა-ჩქარა წარმოთქვით ერთად თს და თშ, დააკვირდით, რომელ ბგერას გვაძლევს მათი ერთად წარმოთქმა.

სავარჯიშო №8. ღ ასო დაწერეთ ჯ ძ ბ ზ დ ასოების შემდეგ. ხ ასო - ფ, თ, ც, ჩ ასოების შემდეგ. ყ ასო ჰ წ ჭ ასოების შემდეგ და მათი გამოყენებით შეადგინეთ სიტყვები.

სავარჯიშო №9. წარმოთქვით ერთად ჩქარ-ჩქარა: ბ ფ პ; დ თ ტ; ძ ც წ; ჯ ჭ ჩ; გ კ ქ; ზ-ს; ქ-შ; ღ-ხ.

სავარჯიშო №10. გაარკვიეთ, რომელია მკვეთრი და რომელი ფშვინვიერი: ჯ-ქ; ჯ-ჩ; წ-ც; ტ-თ; პ-ფ.

სავარჯიშო №11. ამოიწერეთ მოცემული სიტყვებიდან მკვეთრი და ფშვინვიერი ბგერები.

კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაქე.

სავარჯიშო №12. გაარკვიეთ, რომელი ასო-ბგერა მცირდება ხშირად: აკრაკნილი, დაკრაკნილი.

კერიაზე დაკრა კბილი (ხალხური)

მარვალი

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რა არის მარცვალი?
2. რამდენი მარცვალია სიტყვაში?
3. სიტყვა რამდენმარცვლიანი შეიძლება იყოს?
4. რის ნაწილია მარცვალი?
5. დაასახელეთ ერთმარცვლიანი სიტყვები.
6. როგორ მარცვალს ჰქვია ღია?
7. რა წესებია სიტყვის დამარცვლისა და გადატანის შესახებ?
8. რომელ ბგერათა ჯგუფს ვეძახით ჰარმონიულს?

სავარჯიშო №1. მშობლიურ ლიტერატურაში წაიკითხეთ ხალხური ლექსი «ვეფხისა და მოყმისა» და გაარკვიეთ, თითოეული სტრიქონი რამდენი მარცვლისაგან შედგება.

სავარჯიშო №2. მოიფიქრეთ ჰარმონიული ჯგუფის შემცვლელი სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები მათი გამოყენებით.

სავარჯიშო №3. მოცემული წინადადებებიდან ამოიწერეთ სიტყვები და დამარცვლეთ.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სიფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც. ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი, როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ «სავანე». ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის. ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აი, აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი მე ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგას ისლით გადახურული

ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმელო, მხოლოდ ორი საკვამურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდვა დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა (აკაკი).

ფონეტიკური მოვლენები

უპასუხეთ კითხვებზე:

1. როგორ მოვლენას ვეძახით ფონეტიკურს?
2. რა და რა ფონეტიკურ მოვლენებს იცნობთ?
3. როგორ მოვლენას ვეძახით ასიმილაციას?
4. როგორ მოვლენას ვეძახით დისიმილაციას?
5. რას ჰქვია ბგერის დაკარგვა?
6. რას ჰქვია კუმშვა?
7. რას ჰქვია კვეცა?
8. რომელი ბგერები იკარგება კუმშვისა და კვეცის დროს?
9. როგორ მოვლენას ჰქვია ბგერის გადასმა?
10. რომელი ბგერების წინ ხდება განსაკუთრებით ვ-ს გადასმა?
11. დისიმილაცია განსაკუთრებით რომელ ბგერას ეხება?
12. რას ჰქვია კუმშვა? კვეცა?
13. როგორი ბოლოსართის დართვით იკუმშება და იკვეცება ფუძე?

სავარჯიშო №1. გამოიცანით რა ფონეტიკური მოვლენებია მომხდარი შემდეგ სიტყვებში.

საბზელი - საბძელი.
მიუწტომელი - მიუწვდომელი.
ტფილისი - თბილისი.
გორური - გორული.
იმერური - იმერული.
კივის - კივოდა.
ღრმა - აღრმავებს.
ქვა - აქვავებს.
ხე - ახევებს.
კლავს - კლვა.
ხნავს - ხნვა.

სავარჯიშო №2. მოძებნეთ სიტყვები, რომლებშიც ფუძეებია შეკუმშული.

1. წყლიდან რომ ამოვა, მერე ისევ ალოკავს და გაუდგება გზას.
2. ხელოსნებს პური მოჰქონდათ ხელკალათებით.

3. თითქოს ყველა ეს აუცილებელი საჭიროება ყოფილიყოს, ისევე როგორც მღვდლისაგან სუფრის კურთხევა.

4. სუფრა სხვადასხვა საჭმელებით აივსო, თავთავისი კერძი ყველას სამყოფი ედვა წინ.

5. უკანასკნელ დროში წერეთლები მძლავრობდნენ...

6. ჩვენს სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები, ანუ როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილობლად თავმომწონედ შლიდნენ შტოებს.

7. ხელ პირს დავიბანდით და მინდვრად გავრბოდით...

8. მეორედ რომ დავაპირე ნესვის მოწყვეტა, ტურმე ხელი დავაცდინე ბარდებს და იქვე სხვა ალაგს გადავსალე ფოთლები.

9. ტალავერში, მაღლა, ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული.

10. ცისკრის რომ დარეკეს და ჩაცმა დახურვა დაიწყეს, მეც მომიტანეს ჩემი საოცნებო ჩექმები.

სავარჯიშო №3. გაარკვიეთ რა გონეტიკური მოვლენაა მოცემულ სიტყვებში.

ძრავს - ძრვა.
ხრავს - ხრვა.
თრვამეტი - თვრამეტი.
ხნავს - ხნვა.
თავი - მეთაური - სათაური.

ლექსიკა

უპასუხეთ კითხვებზე:
1. სადაური სიტყვაა ლექსიკა?
2. რას ნიშნავს ქართულად?
3. რა არის ლექსიკა?
4. რა არის სიტყვა?
5. რას გამოხატავს სიტყვა წინადადებაში?
6. რამდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სიტყვას?
7. რას ეწოდება სინონიმი?
8. რას ეწოდება ომონიმი?
9. რის მაჩვენებელია სინონიმების სიმრავლე?
10. რას ეწოდება ანტონიმები?

სავარჯიშო №1. მოცემული სინონიმებით შეადგინეთ წინადადებები.

ამანათი -საწინდარი.
ეული - ბოგან.

ვარამი - ჭირი.
მომვლელი - პატრონი.
პირველობა - უფროსობა.
რიდი - კრძალვა.
სახლი - ოჯახი.
სიხარული - ლხინი.
ხვეწნა - მედარა - ვედრება.

სავარჯიშო №2. მოცემულ სიტყვებს მოუნახეთ სინონიმები.

აბდალი
აღტაცება
უაზრობა
დაჭრა
აბადია
დარბეული
სწრაფად
განთიადი
ბასრი
ზვიადი
ამაგი
აშკარაა
სამსალა
ქვევით
ზევით
იმედი

სავარჯიშო №3. მოცემული ომონიმებით შეადგინეთ წინადადებები.

შმაგი, თავი, კვერი, კოჭი, გული

ნიმუში: თავი - დილიდან თავი ამტკივდა.
წიგნის I თავი წავიკითხე.
თავი ვერ მოვაბი.

სავარჯიშო №4. გაარკვიეთ მოცემულ ტექსტში რას აღნიშნავს ომონიმები?

გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა!
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა (შოთა).

მზემან სხივი მომაფინა მაშინა
სიცოცხლე ვგრძენ სიკვდილმა ვერ მაშინა.
შემიდუღდა მაშინ სული და გული.
იმ ნაღუღში თვით მე ვიყავ დაგული.
სულმან შფოთვა, გულმან ძგერა დამიწყო
ჩანგმაც თვისი მე სხივები ამიწყო. (აკაკი).

მორფოლოგია

უპასუხეთ კითხვებზე:
1. რის დარგია მორფოლოგია?
2. რას შეისწავლის მორფოლოგია?
3. რამდენგვარია სიტყვები წინადადებაში გამოყენების თვალსაზრისით?
4. რომელი სიტყვებია დამოუკიდებელი?
5. რომელი სიტყვებია დამხმარე?
6. სრული მნიშვნელობის სიტყვები რა როლს ასრულებენ წინადადებაში?
7. დამხმარე სიტყვები რა მნიშვნელობის არიან წინადადებაში?
8. დამხმარე სიტყვები რას აკეთებენ წინადადებაში?
9. რომელი კავშირები აერთებს ორ სიტყვას?
10. ორწინადადებას?
11. რომელი სიტყვებია ადამიანის სულიერი განწყობილების გამომხატველი?
12. რა ადგილი უკავია შორიდსებულებს?
13. მორფოლოგიურად სიტყვები რამდენგავრია?
14. რომელი მეტყველების ნაწილებია ფორმაცვალებადი?
15. რომელი მეტყველების ნაწილებია ფირმაუცვლელი?
16. რამდენ ჯგუფად იყოფა სიტყვათა მთელი მარაგი და რას ვეძახით ამ ჯგუფებს?
17. რამდენი მეტყველების ნაწილია ქართულში?
18. დაასახელეთ მეტყველების ნაწილები.
19. პირველ ოთხ მეტყველების ნაწილს რომელი სახელით გააერთიანებთ?
20. მეხუთე ადგილი რომელ მეტყველების ნაწილს უკავია?
21. რომელი მეტყველების ნაწილი ერთვის ზმნას?
22. რომელი მეტყველების ნაწილებია სრული მნიშვნელობის?
23. რომელი მეტყველების ნაწილებია დამხმარე?
24. რას აკეთებს თანდებული?
25. რას ახლავს ნაწილაკები?
26. რას აკეთებს კავშირები?
27. რა ადგილი უკავია შორისდებულს?
28. რის მიხედვით იცვლება სახელი?
29. რის მიხედვით იცვლება ზმნა?

30. რას ვეძახით ბრუნვათა მიხედვით სახელის ცვლილებას?
31. რას ვეძახით სახელის მიხედვით ზმნის ცვლას?

სავარჯიშო №1. რვეულის ფურცელი გაყავით ორ ნაწილად და მოცემული ტექსტიდან ცალ-ცალკე ამოიწერეთ დამოუკიდებელი და დამხმარე სიტყვები.

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა - დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოო ოჯახის მოვალეობისაგან - რომელს ნიმუშიც ზევით მოვიხსენიეთ, მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი, პატარა ხანს უკან ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა - როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა ერთი მაშინ მიძღებოდნენ «ძველებურად, ჩვენებურად», - და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: «გმადლობ, შენ უფალო, რათა განმაძღე მე». ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახამდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდან იქავ ტახტზე გადაგორდებოდა და სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელს და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: «მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ მიდნება! ზედაც ემჩნევა ჩემ სტომაქსა». გამოსაცდელად კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი თუ არა და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: დიაღ, - კიდევ იტყოდა, ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერია (ილია).

სავარჯიშო №2. მოცემულ წინადადებებში მთავარ წევრებს გაუსვით ქვეშ ერთი ხაზი, მეორეხარისხოვანს კი - ორი.

გველეშაპი შემოხვეოდა გარს. სამჯერ რომ შემოგვერგვოდა კუდი პირში ეჭირა... ეძინა იმ წყეულს. მისი შიშით საყდარში ვერავინ შედიოდა. აღარც წირვა იყო და აღარც ლოცვა... აღარავინ ინძრეოდა. ხანდახან გამოიღვიძებდა ის არაწმინდა გველეშაპი და ხალხისაკენ წამოსრიალდებოდა. ჩასანსლავდა უძრავად გაშეშებულ ადამიანის შვილებს. მერე ისევ გარს ეხვეოდა ტაძარს. ყოველი მისი გამოღვიძება მუსრი იყო ქვეყნისათვის... მოულოდნელად გამოჩნდა სამი მეომარი... შეიქმნა ერთი ჩოჩქოლი... ზოგმა ფარ-ხმალს მოავლო ხელი... წაუძღვნენ წინ მეომრები... ერთად გასტყორცნეს სამი ისარი. არც ერთი გვამში არ გაერჭო იმ წყეულს. გამოიღვიძა გველეშაპმა. მაღლა აიღო თავი, ერთი საზარლად იწივლა... ცუდად იყო საქმე. თუ ის უცხო მეომრები სამივ მხრით არ მიდგომოდნენ და ბრძოლა არ დაეწყოთ. საარაკო იყო მათი ლახტის ცემა. მაგრამ რა გამოვიდა... (აკაკი).

სავარჯიშო №3. მოცემულ წინადადებებიდან ფორმაცვალებად სიტყვებს ერთი ხაზი გაუსვით, ფორმაუცვლელს ორი.

ეს ხომ აწუხებდა და აწუხებდა. ამ მწუხარებას ერთი ნაღველიც ზედ დაემატა. ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლო ხანებში ჰხედავს, რომ შვილს გუნება ეცვალა. უფრო დაიღვრიმა, უფრო დანაღვლიანდა. ხომ არც წინად იყო მხიარულის გუნების, მაგრამ ეხლა მეტისმეტია თითქოს რაღაც წარჰდებია და თქმა ეკრძალება ძალუმადო.

მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას და თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ. თავქვეშ ორსავ ხელებს ამოიდებდა და გარინდებული იყო ხოლმე მთელის საათობით გულაღმა. შეჰყურებდა ცას და ღრუბლებს მალ-მალე, თითქოს ვარსკვლავებს თვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადაო. რა მოერია, რამ სძლია, რამ დაუღონა შვილი - დედას ვერ გაეგო.

- შვილო, შინ შემოდი, დედამიწამ არ დაგცადოს, - უთხრა ერთხელ დედამა.

- არა უშავს რა, დედი, ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე, დედაშვილობას (ილია).

სავარჯიშო №4. აბრუნეთ სახელები:

ხორბალი, სარკე, მელოდია, კალო, ირინე, გია, რუ.

სავარჯიშო №5. ცვალეთ ზმნები პირების მიხედვით მხოლობით და მრავლობით რიცხვში. ზმნა მოცემულია წინადადებაში.

ბულბულის სტვენამ გაუნათა გული. ამ არსებას მადლობას უძღვნიდნენ ფრინველნი. ერთბაშად ყველას ჩაუვარდა მუცელში ენა. ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. ყველანი კანკალმა აიტანა. ხმა ამოიღეთ, განა მეფე ჩვენს შემუსვრას იკადრებს? - ეტყოდა ფრინველთ ჩხიკვი მოძღვარი. თუ მეტყვით, ამ წუთს აქ მოვიწვევ მეფეს. ზოგნი უარზე დადგნენ. იმის თვალების ბრიალს ვინ გაუძლებსო, ამბობდნენ. ჩვენ კი ვეღარას ვისიამოვნებთ და რა იქნებაო. სხვებმა მოუწონეს, მოვიწვიოთ, მოვიწვიოთო.

ნიმუში: მინათებს, გინათებს, უნათებს.
გვინათებს, გინათებთ, უნათებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. რამიშვილი, დამოუკდიებელი სავარჯიშოების ეფექტი მართლწერის სწავლებაში, თბ., 1971.
2. მ. რეხვიაშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1998.
3. მ. რეხვიაშვილი, სავარჯიშოები ქართულ ენაში, 1994.
4. ტ. სულაბერიძე, მეტყველების კულტურის საკითხები, ტბ., 1994.
5. ნ. ბასილია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები.
6. ჯ. ძაძუა, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები, თბ., 2005.

7. ილია ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, მოთხრობები, გამომც. «ანბანი», 2006.
8. აკაკი წერეთელი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, გამომც. «ანბანი», 2007.
9. ვაჟა-ფშაველა, ლექსები, პოემები, მოთხრობები. გამომც.: «ანბანი», 2007.

შინაარსი

ავტორისაგან;
შესავალი;
სავარჯიშო №1.;
ში, ზე, თან, კენ, გან თანდებულიან სახელთა მართლწერა;
ზედსართავი სახელები;
რიცხვითი სახელი;
ნაცვალსახელი;
ზმნა;
ზმნიზედა;
რთული სიტყვები;
სიტაქსი და პუნქტუაცია. წინადადება;
სიტყვათა შეკავშირება;
ამხსნელი სიტყვა;
წინადადების წევრები;
წინადადების არაწევრი სიტყვები;
შემასმენელი;
ქვემდებარე;
დამატება;
განსაზღვრება;
გარემოება;
წინადადება შინაარსის მიხედვით;
წინადადება აგებულების მიხედვით;
მიმართვა;
შორისდებული;
რთული წინადადება;
პირდაპირი და ირიბი ნათქვამი;
ფონეტიკა და გრამატიკა;
ანბანი;
მარვალი;

ფონეტიკური მოვლენები;
ლექსიკა;
მორფოლოგია;
გამოყენებული ლიტერატურა.

ჯულიეტა ძაძუა

სავარჯიშოები ქართულ ენაში და მეტყველების კულტურის საკითხები

ნაბეჭდი თაბახი 10
ტირაჟი 500

გამომცემლობა «ვექტორი»

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ქეთევან ხორგუაშვილი

ფასი სახელშეკრულებო

თბილისი - 2008